გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
სამშაბათი, 9 აგვისტო, 2005 წელი.
№187 (5220)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## მოგმართავთ თხოვნით, ხმა აიმაღლოთ მსოფლიო აკადემიური საზოგადოებრიობის წინაშე ევროპულ აკადემიათა ასოციაციის ერთ-ერთი წამყვანი წევრის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის – გაუქმების მცდელობის წინააღმდეგ



**ამსტერდამი. ნიდერლანდების ხელოვნებისა და მეცნიერებათა სამეფო აკადემიას, „სრულიად ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციის“ პრეზიდენტს ბატონ პიტერ დრენთს**

ბატონო პრეზიდენტო,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც „ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციის“ წევრი, მოგმართავთ თხოვნით, ხმა აიმაღლოთ მსოფლიო აკადემიური საზოგადოებრიობის წინაშე ევროპულ აკადემიათა ასოციაციის ერთ-ერთი წამყვანი წევრის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის – გაუქმების მცდელობის წინააღმდეგ;

იხ. მე-2 გვ.

## „...მე ჩემი კალო უკვე გავლეწე, უმუშევარმა ახალგაზრდებმა რა ქნან?“



მთავრობას ჰგონია, ალბათ ხალხი ისე დაჩლუნგდა, ცოტა და ბევრი, კარგი და ცუდი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიაო, მაგრამ მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე. თუ ჭკუას არ მოეგებიან, რევოლუციების გამოცდილება ნამდვილად გვაქვს...

– რა, იმუქრებით?

– მუქარა რა შუაშია, სხვა გამოსავალს აღარ გვიტოვებენ!

იხ. მე-6 გვ.

## წყალტუბოელი დევნილები წყალ-კუროტზე გადიან



სალამოს საკმაოდ დაფიქრებულნი წამოვედით. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებზე სახელმწიფომ მართლაც სერიოზულად უნდა იზრუნოს. ბევრ მათგანს ნერვები ღალატობს და ხელისუფლების მიმართ აშკარად აგრესიულად გამოთქვამს უკმაყოფილებას. დევნილთა უმეტესობას ჯანმრთელობა აღარ შერჩა. მძიმე ყოფით პირობებში იზრდებიან მოზარდები და, როგორც გვითხრეს, ბავშვებიც ძალზე ცოტანი იბადებიან...

იხ. მე-4 გვ.

## მიხეილ სააკაშვილი:
## ძალისმიერი ოპერაციები გამორიცხულია, ახლა ლაპარაკია ოფთალმოლოგიურ ოპერაციებზე

იხ. მე-2 გვ.

## შამბას აღასანიასთან საუბარი, ალბათ, გაუქმდება

იხ. მე-2 გვ.

## საქართველოში შიშობენ, რომ მოსკოვმა, შესაძლოა, პოზიციები გაამკაცროს

იხ. მე-5 გვ.

## სადა ხართ, ოპოზიციონერებო?




ერთი მითხარით, ასე არ ატყუებს „წრფელ ხალხსა“ მარად მომჩივანი და ტრიბუნააკიდებული შალვა ნათელაშვილი, როცა აცხადებს, – 10 მაისს თავისუფლების მოედანზე ბუშზე და სააკაშვილზე თავდასხმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოწყობილი პროვოკაცია იყოო და, ამ საკითხს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა? ეს ოპოზიციური გამოსვლა არ გახლავთ. ეს არის ღალატი. იმის გარდა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებსა და იმპერიულ პრესას საბაბი მისცა საინფორმაციო ომის ჟამს, გამოძიებას ხელი შეუშალა და აშკარად დადგა დამნაშავის მხარეს.

იხ. მე-3 გვ.

### ◉ პანორამა

სადამ ჰუსეინის ოჯახმა დაითხოვა ყოფილი დიქტატორის ადვოკატთა საერთაშორისო გუნდი. სასამართლოში სადამს მხოლოდ ერთი ადვოკატი დაიცავს. ჰუსეინის ოჯახის განცხადებაში ნათქვამია, რომ ნათესავები „ვალდებული არიან, საქმის უნიკალური ხასიათის გამო, გადაადგილებები მოახდინონ დაცვის შემადგენლობაში“.

* * *

ნიდერლანდებში პარკების მეთვალყურენი ჭინჭრით ებრძვიან შეყვარებულ წყვილებს, რომლებიც ბუნების წიაღში ეტანებიან სექსს. ერთი წყვილი კი მას შემდეგ დააპატიმრეს კიდეც, რაც იმ მანქანის კაპოტზე მოისურვეს ამის გაკეთება, რომელშიც პოლიციელები ისხდნენ, მათ კი ვერ შენიშნეს.



* * *

პეკინი ტაიფუნ „მაცას“ შესახვედრად ემზადება. ბოლო 11 წლის მანძილზე პირველად ჩინეთის ტერიტორიაზე შესულმა „მაცამ“ დასავლეთისკენ კი არა, ჩრდილოეთისკენ – პეკინისკენ გადაინაცვლა. სინოპტიკოსთა პროგნოზით პეკინში ნალექების ოდენობამ შესაძლებელია 100 მმ-ს გადააჭარბოს. მიმდინარეობს სამზადისი მოსახლეობის შესაძლო ევაკუაციისათვის.



### ◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## დიდი სადესანტო ხომალდები ბათუმიდან ტექნიკის გატანას იწყებენ

**ბათუმის ნავსადგურის აკვატორიაში შემოვა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ორი დიდი სადესანტო ხომალდი „ნიკოლაი ფილჩენკო“ და „აზოვი“. გემებმა, რომლებითაც ბათუმში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მე-12 ბაზის კუთვნილი მთელი მუხლუხიანი ტექნიკა უნდა გაიტანონ, უკვე დატოვეს ნოვოროსიისკის ნავსადგური და გეზი ბათუმისკენ აიღეს. როგორც საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ ალეკო კიკნაძემ განაცხადა, ხომალდებზე დატვირთავენ ტ-72 ტიპის 20 ტანკს, „კუბის“ ტიპის 10 გასაშვებ საზენიტო სარაკეტო კომპლექსს, „შილკას“ ტიპის 5 საზენიტო თვითმავალ დანადგარს და 5 სადაზვერვო-საგუშაგო მანქანას. ალეკო კიკნაძის თქმით, მხარეების მიერ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით მძიმე ტექნიკის ჩატვირთვა უნდა დასრულდეს 20 აგვისტომდე და ყოველივე ეს განხორციელდება ქართველი მესაზღვრეების და საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელთა კონტროლით.**

ჯერ კიდევ გასულ კვირას შავი ზღვის ფლოტის სპეციალურმა ჰიდროგრაფიულმა გემმა, რომელიც ზომავდა ბათუმის აკვატორიის სიღრმეს, უკვე დაასრულა მუშაობა და გამოკვლევის შედეგები გადასცა სადესანტო ხომალდების ეკიპაჟებს.

„ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. მთელი მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია ბათუმის მახლობლად მდებარე „გონიოს“ სამხედრო პოლიგონზე ჩვენ ჯერ კიდევ შაბათისთვის დავასრულეთ“, – განუცხადა ჟურნალისტებს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილემ პოლკოვნიკმა ვლადიმერ ყუფარაძემ.

არ არის პრობლემები არც ბიუროკრატიული თვალსაზრისით – საქართველოს მხარემ წინასწარ მოამზადა ყველა ის საჭირო დოკუმენტი, რომლებიც რუსეთის ხომალდებს რთავენ ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში შემოსვლის და მუხლუხიანი ტექნიკის გატანის ნებას.



„გონიოს“ პოლიგონზე ჯავშანტექნიკის გადატანის დღეებში მე-12 ბაზასთან შეკრებილი იყო მრავალი ადამიანი – ბათუმელი ახალგაზრდები ბაზის ჭიშკრიდან გამოსულ ყველა ტანკს ტაშით და შამპანურის შხეფებით ხვდებოდა. მაგრამ რაიმე სერიოზული ექსცესი არ დაფიქსირებულა.

საგრძნობლად უარესი გუნებაგანწყობილება შეიმჩნეოდა რუს ოფიცრებში. მათ უმრავლესობას ძალზე აშინებს „ღია ცის ქვეშ“ დარჩენის პერსპექტივა, როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთი ევროპიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის დროს. როგორც მე-12 ბაზის ერთ-ერთმა ოფიცერმა თქვა, მიღებულია ბათუმიდან წასვლის ბრძანება, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს დადგენილ ვადებში. „მაგრამ განა ასევე მალე მივიღებთ ჩვენ ბინებს რუსეთში, თანაც ისეთს, როგორიც ბათუმში გვქონდა? ეს დიდ ეჭვს ბადებს“, – დასძინა მან.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რუს სამხედრო მოსამსახურეებს და ჯავშანტექნიკას გადაიყვანენ ტუაფსეში, სადაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაგეგმილი აქვს შექმნას შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საზღვაო ბაზა. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად გამოადგებათ იქ ბათუმის ბაზიდან გამოტანილი ტანკები. ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ცხადია, რომ ტექნიკის საკმაო ნაწილი გაუმართავია.

როგორც იტყვიან, ფაქტობრივად, ბარგი ჩალაგებული აქვთ ახალქალაქის 62-ე ბაზის სამხედრო მოსამსახურეებსაც. ახალქალაქიდან „ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამშვები პუნქტისკენ უკვე დაიძრა მძიმე ტექნიკის პირველი კოლონა. საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის მიღწეული მორიგების თანახმად, ახალქალაქში დისლოცირებული რუსული 62-ე სამხედრო ბაზიდან ტექნიკის ძირითადი ნაწილის გატანა დაიწყება მომავალ წელს და დასრულდება 2007 წლისთვის.

**იური სიმონიანი,**
**გიორგი კუპატაძე,**
**НЕЗАВИСИМАЯ**
**8 აგვისტო.**

### ◉ ინფორმაცია

#### თუ სააკაშვილმა არავის დაუჯერა და...

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნის სტანისლავ ლაკობას განცხადებით, აფხაზები ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებში მონაწილეობას საქართველოში არსებული „ომის პარტიის“ პოზიციების დასასუსტებლად თანხმდება.

ამის შესახებ სტანისლავ ლაკობამ რუსულ საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა. – ლაკობა, მათ ვინც ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების წინააღმდეგ გამოდის, თბილისთან მოლაპარაკებების პროცესთან დაკავშირებით უფრო პრაგმატულად მიდგომას ურჩევს.

„მოლაპარაკებებში უარის თქმით, ხელს შევუწყობთ საქართველოში „ომის პარტიის“ პოზიციების გაძლიერებას და ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა გავაკეთოთ ეს“, – აცხადებს სტანისლავ ლაკობა.

მისივე თქმით, დღევანდელ საქართველოში აფხაზეთთან მშვიდობიანი დიალოგის წარმოების მომხრეთა რიცხვი „საკმაოდ დიდია“.

„თუ პრეზიდენტმა სააკაშვილმა არავის დაუჯერა და აფხაზეთთან დაკავშირებით საომარი მოქმედებები დაიწყო, ეს მისი მხრიდან ძალიან სარისკო ნაბიჯი იქნება“, – აცხადებს ლაკობა.

#### სამეგრელოში გზების რეაბილიტაციის პროგრამა განხორციელდება

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სამეგრელოს ეწვია, სადაც ამ რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულთან, ზაზა გოროზიასთან და საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელ რომან დალაქიშვილთან ერთად სამეგრელოში გზების მშენებლობის საკითხებს განიხილავს. ნოღაიდელის თქმით, სამეგრელოში გზების რეაბილიტაციის პროგრამა უახლოეს მომავალში განხორციელდება.

„გზების მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი თანხები გამოიყო. გარდა ამისა, ამ რეგიონში სხვა უფრო მასშტაბური პროგრამების განხორციელება დაიწყება“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

#### ზურაბ ჟვანიას სახელი მიენიჭება

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისში, ორთაჭალაში გურიის ყოფილი გუბერნატორის ჟანი კალანდაძის სახელობის სკვერი გახსნა.

„ამ სკვერს სახელი ჟანი კალანდაძის საპატივცემულოდ დაერქვა. რამდენიმე დღეში თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანს ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას სახელი მიენიჭება. ამის შესახებ თბილისის მთავრობას უკვე მივმართე“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ეს პირველი პარკი არ არის და თბილისში, სულ მცირე, 50 პარკი გაიხსნება, გაისად კი – რამდენიმე ათეული.

#### ყველაზე ინტელექტუალური სახელმწიფო მოხელე



გაზეთ „კვირის პალიტრის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვარეიტინგის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 79 პროცენტის აზრით, საქართველოში ყველაზე ინტელექტუალი სახელწიფო მოხელე სალომე ზურაბიშვილია. გასულ წლებში კი ინტელექტუალის ტიტულს „კვირის პალიტრის“ მკითხველი ზურაბ ჟვანიას ანიჭებდა. ამგვარი ტიტული მას ორჯერ - ერთხელ პოლიტიკოსის, ერთხელ კი მინისტრის რანგში მიანიჭეს.

მეორე ადგილზე წელს განათლების მინისტრი ალექსანდრე ლომაიაა, რომელმაც მკითხველთა 4,94 პროცენტის მხარდაჭერა მოიპოვა. შარშანდელ გამოკითხვაში კი ლომაია მხოლოდ მეხუთე ადგილზე იყო. „მის რეიტინგზე დადებითად, ალბათ ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა იმოქმედა, არადა, სულ რაღაც ერთი წლის წინათ „ინტელექტში“ ლომაიას გოკა გაბაშვილი „უსწრებდა“, წელს კი ლომაიამ „აჯობა“, -ასკვნის „კვირის პალიტრა“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მეშვიდე ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა, ნოღაიდელს რეიტინგში თბილისის მერი გიგი უგულავა მოსდევს, მეხუთე ადგილს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის მინისტრი გოკა გაბაშვილი იკავებს, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი კი ბოლოდან მესამე ადგილზეა, მას გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი ჩამორჩება. შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს კი რეიტინგით ყველაზე ბოლო, მეშვიდე ადგილი ერგო.

**ინტერპრესნიუსი**

№ 187. სამშაბათი, 9 აგვისტო, 2005 წელი.

◎ პრეზიდენტი

# მიხეილ სააკაშვილი: ძალისმიერი ოპერაციები გამორიცხულია, ახლა ლაპარაკია ოფთალმოლოგიურ ოპერაციებზე

**27 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში მიიღო ცნობილი ქართველი მკურნალი, კლინიკა „ოფთალმიჯის“ ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ჯავრიშვილი.**



შეხვედრის შემდეგ ქვეყნის პირველმა პირმა განაცხადა:

– გიორგი ჯავრიშვილის კლინიკა ერთ-ერთი საუკეთესოა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ ღვაწლმოსილმა მედიკოსმა ძალიან ბევრ ადამიანს აუხილა თვალი. იგი გამოვიდა ინიციატივით (და ჩვენ ამ ინიციატივას მხარს ვუჭერთ), რომ ცხინვალს რეგიონის – ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე უფასოდ გაკეთდეს იმდენი რაოდენობის ოპერაცია ადამიანებისთვის მხედველობის დასაბრუნებლად, რამდენიც საჭიროა. ჩვენ ვაპირებთ, ეს დიდი მასშტაბით გავაგრძელოთ, მთლიანად გავმართოთ მედიცინა ცხინვალში, ჯავაში, ზნაურში, ამ რეგიონის სხვა ადგილებში. ჩვენ ასევე ვაპირებთ, იქ დახმარება გავუწიოთ მუნიციპალური ტრანსპორტის კუთხითაც.

რამდენიმე კვირის წინათ ჩვენმა ცნობილმა ექიმმა ფრიდონ თოდუამ ცხინვალში ჩაიტანა მეტად ძვირადღირებული თანამედროვე აპარატურა. ჩვენ ამ წამოწყებასაც მთლიანად დავუჭირეთ მხარი. ახლა უკვე ჯავრიშვილის კლინიკა გამოდის ინიციატივით, რომ დავეხმაროთ ამ რეგიონის მცხოვრებლებს მათი წარმომავლობის მიუხედავად – ოსებსაც და ქართველებსაც.

ამავე შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილი გამოეხმაურა რუსული მედიის მიერ აგორებულ ისტერიულ კამპანიას, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლება 15 სექტემბრისთვის აპირებს ცხინვალის ოკუპაციას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა თქვა:

– უნდა ვუპასუხო ბოლო კვირებში გავრცელებულ ბრალდებებს, რომ საქართველო აპირებს რაღაც ძალისმიერი ოპერაციის განხორციელებას და სახელდებოდა უახლოესი დღეები. მინდა, ყველას ვუთხრა: საქართველოს საკმარისზე ბევრად მეტი რესურსები აქვს, რომ ნებისმიერ პროვოკაციას გასცეს პასუხი და არავის არ ვურჩევ პროვოკაციების მოწყობას. ამავე დროს საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია რაიმე სამხედრო ან ძალისმიერი ოპერაციების განხორციელების არანაირი გეგმები. ერთადერთი, რისი გეგმებიც ჩვენ გვაქვს და რაზეც ძალიან აქტიურად ვმუშაობთ, ეს არის სამშვიდობო დიალოგი და მოვუწოდო ყველას, დაუბრუნდეს მოლაპარაკების მაგიდას. ჩვენ დავდეთ მაგიდაზე ისეთი წინადადებები, რომლებსაც ვერასოდეს ვერც ერთი საქართველოს წინა ხელისუფლება ვერ გაბედავდა და შეიძლება ვერასოდეს ვერ გაბედოს მომავალში. ახლა უკვე სიტყვა ადგილობრივი დე-ფაქტო ხელისუფლების მხარეზეა. ჩვენ ვერ მოვითმენთ სტატუს-კვოს შენარჩუნებას. ამავე დროს კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენი გზა არის ის, რომ მშვიდობიან გადაწყვეტილებას არანაირი ალტერნატივა არა აქვს.

◎ ინტერვიუ

# ქართულ მხარეს აფხაზეთში ეუთოს გააქტიურება სურს

**ჰელსინკში, ეუთოს 30-ე წლის საიუბილეო სხდომაში მონაწილეობის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ეუთო მრავალი წლის მანძილზე კარგ დოკუმენტებსა და რეზოლუციებს იღებდა, მაგრამ თუ ეს გადაწყვეტილებები არ განხორციელდება, ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ, შესაძლოა, ეფექტიანი მექანიზმის ფუნქცია დაკარგოს. ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ევროსაბჭოს ტრიბუნიდან „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემის მოგვარებისთვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გახმიანებულ სამშვიდობო ინიციატივას ეუთოს გამოხმაურება არ მოჰყოლია. ამის მიზეზად პარლამენტის თავმჯდომარემ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის არსებული კონკურენცია დაასახელა. მან ამ ორგანიზაციებს, კონკურენციის ნაცვლად, თანამშრომლობის გაღრმავებისკენ მოუწოდა. ცნობილია, რომ სწორედ ეუთოს ფარგლებში უნდა განხორციელდეს გუდაუთის სამხედრო ბაზის გაუქმებაზე მონიტორინგი.**

**მაინც, როგორია ეუთოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში? – ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო მედიანიუსი კონფლიქტის მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს გიორგი ვოლსკის ესაუბრა.**

***– ეუთოში გერმანიის მხარე გუდაუთის სამხედრო ბაზის გაუქმებაზე მონიტორინგს მოითხოვს. მოსალოდნელია თუ არა ახლო მომავალში ამ საკითხის გადაწყვეტა. მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა დაწყებულია?***

– ალბათ, საკითხი მალე გადაწყდება და ეუთოს ფარგლებში გერმანიის მხარე გუდაუთის სამხედრო ბაზის მონიტორინგს განახორციელებს. კონკრეტულად როდის მოხდება ეს, ამის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, ეს საკითხი ქართულ-რუსული მხარეების მოლაპარაკებებშიც ერთ-ერთი თემა იქნება.

***– პარლამენტის თავმჯდომარე აფხაზეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით ეუთოს გააქტიურებას მოითხოვს. როგორია ამ ორგანიზაციის როლი კონფლიქტების მოგვარების პროცესში?***

– ეუთოს კომპონენტი ადამიანის უფლებების დაცვის სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მონაწილეობს. ეუთომ, გაეროსთან ერთად, კონფლიქტის ზონაში შექმნილი მდგომარეობა შეისწავლა და თავისი რეკომენდაციებიც შეიმუშავა. ამასთან, როგორც აღვნიშნე, ვითხოვთ, გუდაუთის სამხედრო ბაზის გაყვანის მონიტორინგი სწორედ ამ ორგანიზაციამ განახორციელოს. აქედან გამომდინარე, ამ საერთაშორისო ორგანიზაციის როლი მკაფიოდ განსაზღვრულია.

***– აფხაზეთთან მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციები ახალ პროგრამებს ხომ არ ამუშავებენ?***

– მომავალი წლიდან აფხაზეთში ევროკავშირი ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამას დააფინანსებს. მას გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს სამეთვალყურეო მისიის ეკონომიკური კომპონენტი განახორციელებს.

***– ევროკავშირი აფხაზეთის პრობლემის მიმართულებით ახლა იწყებს გააქტიურებას თუ მანამდეც აქტიურობდა?***

– სწორედ ევროკავშირის გრანტს წარმოადგენს ის ცხრა მილიონნახევარი ევრო, რომელიც ენგურჰესის სარეაბილიტაციო პროგრამებზეა გათვალისწინებული.

***– აფხაზეთის რკინიგზის რეაბილიტაციაზე ასეთი პროგრამა არ არის შემუშავებული?***

– რკინიგზისთვის ჯერ არავითარი პროგრამა არ არის შემუშავებული და არც რაიმე გადაწყვეტილებაა მიღებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აფხაზეთის რკინიგზის ინფრასტრუქტურის შემფასებელი მუშაობა.

***– სამშვიდობო მისია მომავალშიც გაეროს პრეროგატივად რჩება, თუ შესაძლებელია, ეს მისია ევროკავშირმა გადაიბაროს?***

– სამშვიდობო მისია გაეროს პრეროგატივად დარჩება და ამ სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობისთვის ევროკავშირი, დაახლოებით, 20 მლნ. ევროს გამოყოფს. ევროპული სტრუქტურა, ასევე, მზადაა, მონაწილეობა მიიღოს გაეროს სამეთვალყურეო მისიის სამოქალაქო პოლიციის კომპონენტის დაფინანსებაში და მისი კონტინგენტის უზრუნველყოფაში. ეს კონტინგენტი ზუგდიდის მხარეს უკვე მუშაობს.

***– რაც შეეხება ეუთოს, რა შეიძლება ითქვას: ამ ორგანიზაციამ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი გააკეთა, თუ ქართულ მხარეს უკმაყოფილების საფუძველი აქვს?***

– ეუთომ აქტიურად იმუშავა ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის შექმნაში. ამ ორგანიზაციის მონაწილეობით სოხუმში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი გაიხსნა. ქართულ მხარეს სურს, იხილოს ამ ორგანიზაციის მეტი აქტიურობა გალის რაიონში ანალოგიური ოფისის გახსნითა და ამოქმედებით, ასევე, გუდაუთიდან სამხედრო ბაზის გაუქმებაზე მონიტორინგით.

◎ ინფორმაცია

## ელექტროენერგიის პრობლემა აღარ ექნებათ

**დუშეთის** რაიონის 1000-მდე ოჯახს ელექტროენერგიის პრობლემა აღარ ექნება. გუშინ, როშკაში წარმატებით დასრულდა მიკროჰიდროელექტროსადგურის საცდელი გაშვება, რის შედეგადაც დუშეთის რაიონის სოფელ როშკის ისტორიაში პირველად აინთო 500-ვატიანი ელექტრონათურა.

IFAD-ის მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში ზღვის დონიდან 2 ათას მეტრ სიმაღლეზე როშკის მიკროჰესის მშენებლობა 2003 წელს დაიწყო და ძირითადი სამუშაოები 2004 წლის ბოლოს დამთავრდა. ჰესის სიმძლავრე 0,5 მეგავატია, რომელიც მთაში მცხოვრები 1000-მდე ოჯახისთვის იქნება საკმარისი.

მიკროჰესის აგრეგატის გამოცდა ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება, რის შემდეგაც მოხდება ჰესის ქსელში გაშვება და ოფიციალური ჩართვა. პირველ ეტაპზე ელექტროენერგიით მომარაგდება ხევსურეთისა და ფშავის ხეობების 2 საკრებულოს (ბარისახოს და უკანა ფშავის საკრებულოები) 18 სოფელი.

## სერვის-ცენტრი ავტობუსებისთვის



**თბილისში** მოძრავ მუნიციპალურ ავტობუსებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სერვის-ცენტრი მოემსახურება.

სერვის-ცენტრი, რომლის გახსნაშიც გუშინ თავად ქალაქის მერი გიგი უგულავა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ზურაბ ჩიკვილაძე მონაწილეობდნენ, №5 საავტობუსო ფარეხის ტერიტორიაზე მდებარეობს.

სერვის-ცენტრი ჰოლანდიური დანადგარებით არის აღჭურვილი და იგი ყველა ტიპის, როგორც უცხოურ, ასევე საბჭოთა მარკის ავტობუსებს მომსახურება. აქ დასაქმების მიზნით, შვიდმა ქართველმა სპეციალისტმა საჭირო მომზადება ჰოლანდიაში უკვე გაიარა.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ზურაბ ჩიკვილაძე კიდევ ორი ანალოგიური ობიექტის გახსნის პირობას იძლევა.

№5 საავტობუსო ფარეხის კეთილმოწყობისთვის თბილისის ბიუჯეტიდან 250 ათასი ლარი დაიხარჯა.

## მალე თბილისში ღია ავტობუსები ივლის

**საქალაქო** ავტობუსებთან დაკავშირებით თბილისის ხელმძღვანელობა სიახლეების დანერგვას განაგრძობს. მალე დედაქალაქის ქუჩებში ჰოლანდიური მარკის ღია ავტობუსები გამოჩნდება.

მუნიციპალიტეტს ამჟამად ასეთი ტიპის მხოლოდ ერთი ავტობუსი ჰყავს, რომლითაც მგზავრობა თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ უკვე მოასწრო. ეს ღია ავტობუსი ჰოლანდიური მხარის საჩუქარია.

როგორც უგულავამ ამასთან დაკავშირებით განაცხადა, უახლოეს პერიოდში თბილისში ასეთი ხუთი ავტობუსი შემოვა და იგი ძირითადად ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ივლის.

**ინტერპრესნიუსი.**

◎ ღია წერილი

# აქციები დროებით შევწყვიტეთ...

## საინგილოელ ქართველთა თხოვნა საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

**ჩვენი თეატრი, რომელიც 1981 წლიდან არსებობს და რომელსაც 2005 წლის იანვარში მიენიჭა აზერბაიჯანის სახელმწიფო დრამატული თეატრის სტატუსი, დღესდღეობით ფაქტობრივად გაუქმებულია, რადგან აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობამ, პირადად ალიგისმედ ლალაევმა, დასის სურვილის საწინააღმდეგოდ, თეატრის ხელმძღვანელებად ისეთი პირები დაგვინიშნა, რომლებიც ხალხში ცნობილები არიან, როგორც დამსმენები და პროვოკატორები.**

ამის გამო 2005 წლის 7 ივლისიდან პროტესტის ნიშნად ავჭედეთ თეატრის კარები და მოვაწყვეთ აქცია-მიტინგები, რაც რამდენიმე დღე გრძელდებოდა და ჩვენთან ერთად მთელი სოფელი მონაწილეობდა. ვითხოვდით ამ პიროვნებების გადაყენებას, მაგრამ არც რაიონის ხელმძღვანელობამ და არც აზერბაიჯანში საქართველოს საელჩომ ყურადღება არ მოგვაქციეს. იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში სოფელ ალიბეგლოში სიარულს მოუხშირეს კახის უშიშროების თანამშრომლებმა, რომლებიც ხალხს აშანტაჟებენ და დაჭერით ემუქრებიან, რითაც უფრო ძაბავენ ვითარებას. გაჩნდა რეალური საფრთხე ყველაფრის ხელჩართულ დაპირისპირებაში გადაზრდისა, დროებით შევწყვიტეთ აქციები. ვითხოვთ სასწრაფო შეხვედრას აზერბაიჯანის კულტურის მინისტრთან, რათა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს შეცდომით დანიშნული თეატრის დირექტორი ოფელია ანდრიაშვილი და სამხატვრო ხელმძღვანელი ვალიკო მალუმაშვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ განვაახლებთ მიტინგებს, შემოვიერთებთ საინგილოს მთელ ქართველ მოსახლეობას და ვიდრე არ დააკმაყოფილებენ ჩვენს თხოვნას, არ შევწყვეტთ აქცია-მიტინგებს, ვითხოვთ, აგრეთვე თბილისიდან პროფესიონალ რეჟისორს, რომელიც სპექტაკლს დაგვიდგამს, ისე როგორც ეს მოხდა თბილისის აზერბაიჯანულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, იქ სპექტაკლი ბაქოდან მოწვეულმა რეჟისორმა დადგა.

**პატივისცემით და დიდი იმედით, კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკები:**

**პაპიაშვილი აიდა, შიოშვილი გოჩა, გახიშვილი ნათია, შიოშვილი ლალი, ემრაშვილი შალვა, ჯაჯაშვილი ბესო, სარდალაშვილი რაული, თოფალაშვილი ნერონ, ხინაშვილი იორამი, შიოშვილი ფირუზ, ანდრიაშვილი ლაშა, ბარიხაშვილი კოტე, ბარიხაშვილი ნინო, გახიშვილი ბესო.**

2005 წ. 2 აგვისტო

ამ პრობლემებთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 10 აგვისტოს თბილისში, კავკასიურ სახლში, 13 საათზე (გალაკტიონ ტაბიძის 20) ვაწყობთ პრესკონფერენციას. ვეპატიჟებით ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ ტელეფონზე: 75-65-25, 78-12-43.

**საქართველოს საინფორმაციო საშუალებებს წერილი დაურიგდეთ ქსეროასლების სახით**

◎ SOS!

# მოგმართავთ თხოვნით, ხმა აღიმაღლოთ მსოფლიო აკადემიური საზოგადოებრიობის წინაშე ევროპულ აკადემიათა ასოციაციის ერთ-ერთი წამყვანი წევრის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის – გაუქმების მცდელობის წინააღმდეგ

(პირველი გვერდიდან)

გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენ განიხილავთ ამ საკითხს ევროპული აკადემიების გენერალურ ასამბლეაზე. მოგეხსენებათ, არ არსებობს ევროპაში ცივილიზებული ქვეყანა მეცნიერებათა აკადემიის გარეშე. თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს მართვა, როგორც ცნობილია, ემყარება ცოდნას, მიღწეულს ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების შედეგად.

საქმე ისაა, რომ ზოგიერთ ჩვენ სახელისუფლებო სტრუქტურას განზრახული აქვს მეცნიერებათა აკადემიის რეფორმირების მოტივით ფაქტობრივად გააუქმოს „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“ და იგი გადააქციოს აკადემიკოსთა არსებითად უფუნქციო საზოგადოებად, ერთგვარ „ასოცოაციად“, რომლის წევრებს დაენიშნებათ „სტიპენდიები“, ხოლო მეცნიერებათა აკადემიაში აქამდე შემავალ ინსტიტუტებს მოეხსნებათ საბიუჯეტო დაფინანსება და ისინი გადაეცემა სხვადასხვა უნივერსიტეტებს და სახელმწიფო უწყებას, რაც საბოლოო ანგარიშით, ამ ინსტიტუტების და კვლევითი ცენტრების დაშლას და ლიკვიდაციას მოასწავებს.

ეს იქნებოდა დიდი დარტყმა საქართველოს აკადემიისა და მთელი ქართული მეცნიერებისთვის. ამავე დროს ისახება ჩვენში მეცნიერების განვითარების ისეთი „პრიორიტეტები“, რომლებიც „გარედანაა“ ნაკარნახევი და რომლებიც არ შეესაბამება საქართველოში ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების ზოგად ტენდენციებს.

მოგეხსენებათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი მრავალრიცხოვანი ინსტიტუტებით, კვლევითი ცენტრებითა და ლაბორატორიებით, სადაც მსოფლიოში განთქმული და საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო სკოლები შეიქმნა, დაარსდა გასული საუკუნის ორმოციან წლებში პირველი ქართული უნივერსიტეტის პროფესურის ძალისხმევით და რუსეთის (მაშინდელი საბჭოთა კავშირის) მეცნიერებათა აკადემიის მოდელის მიხედვით, რომელიც უკვე იმ დროისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და მნიშვნელოვან სამეცნიერო დაწესებულებად ითვლებოდა და რომელიც იმთავითვე, უკვე პეტრე I დროიდან მოყოლებული, საუკეთესო დასავლურ სტანდარტებს ემყარებოდა.

ჩვენი ქართული მეცნიერებათა აკადემია, დასავლურ სტანდარტებთან შესაბამისობასთან ერთად, უძველესი ქართული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების მემკვიდრედ განიხილება, როგორიც იყო, მაგალითად, XII საუკუნეში დაარსებული „გელათის აკადემია“, რომელიც უკვე იმ დროს უმაღლესი საერთაშორისო რეპუტაციით სარგებლობდა, როგორც „ტაძარი სწავლულობისა“, როგორც „სხვა ათინა და მეორე იერუსალეიმი“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ამჟამად მიმდინარეობს რეფორმირების პროცესი, გამოწვეული ჩვენი დროის რეალობით, რაც აუცილებლობით მოითხოვს ტრადიციული სტრუქტურების გარდაქმნას და მათ ამჟამინდელ მოთხოვნილებებთან თანადობაში მოყვანას.

ახალი მოდელის მიხედვით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია წარმოადგენს დამოუკიდებელ, ავტონომიურ საბაზისო დაფინანსებაზე დაფუძნებულ ერთობლიობას ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების, მსგავსად სხვადასხვა დასავლური აკადემიებისა და ეროვნული კვლევითი ცენტრების. აქ, პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია, საფრანგეთისა და იტალიის „სამეცნიერო კვლევათა ეროვნული ცენტრი“, გერმანიის „მაქს პლანკის საზოგადოება“ და სხვა, რომლებთანაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დამყარებული აქვს ურთიერთობა და სამეცნიერო კავშირები (მათ შორის „ნატოს“ გარკვეულ სამეცნიერო სტრუქტურებთანაც).



გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩვენი ასეთი სამეცნიერო კავშირები ხსენებულ კვლევით დაწესებულებებსა და აკადემიებთან ევროპასა და ამერიკაში უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება.

ვთვლით, რომ ამ საქმეში „ევროპის მეცნიერებათა აკადემიების ასოციაციას“ მნიშვნელოვანი როლის შესრულება და ჩვენთვის დახმარებისა და თანადგომის გაწევა შეეძლება.

**უღრმესი პატივისცემით,**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**

**თამაზ გამყრელიძე,**

**ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ბრიტანეთის აკადემიის კორესპონდენტი წევრი; ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის კორესპონდენტი წევრი; საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი; ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი; ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი; ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი (მისი პრეზიდენტი 1986/87 წლებში).**

**თბილისი, 8 აგვისტო, 2005 წ.**

◎ კონფლიქტის ზონა

# შამბას ალასანიასთან საუბარი, ალბათ, გაუჭირდება

**გაეროს თბილისის ოფისში უსაფრთხოების საკითხებზე ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრაზე აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ აღნიშნა: – მისთვის ირაკლი ალასანია კონსტრუქციული პარტნიორია, მაგრამ დიალოგს ხელს ის ფაქტი უშლის, რომ იგი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ხელმძღვანელია. ამ მიზეზით შამბა ალასანიას თბილისში არაფორმალურ ვითარებაში შეხვდა. თუმცა, მანამდე ისინი ერთმანეთს ჟენევაში გაეცნენ. ამ და სხვა საკითხებზე გთავაზობთ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის აპარატის უფროსის ზურაბ კოკაიას კომენტარს:**

– ვფიქრობ, რომ ჟენევაში ალასანიასთან შეხვედრის შემდეგ შამბა საკმაოდ შეიცვალა. რა თქმა უნდა, ისევ ისე აცხადებს, რომ ის აფხაზეთის ე. წ. ლეგიტიმურ სტრუქტურებს არ ცნობს, შეურაცხყოფად მიიჩნევს მოლაპარაკებაზე მათთან დაჯდომას და სხვა, მაგრამ აშკარაა, რომ ალასანიას მიმართ სიმპათიას გამოხატავს. მე შამბას ძალიან კარგად ვიცნობ. არ არის ის ისეთი პიროვნება, ირაკლი ალასანიას მისამართით ზეპირ პიარკამპანიებს გააჩაღოს. მას ეს სულაც არ სჭირდება. უბრალოდ, ალასანიას, როგორც პოლიტიკოსის მიმართ, მისი სიმპათიები გულწრფელია. ბუნებრივია, მტერსაც კი, თუმცა შამბას უკვე არ ვთვლი მტრად, რაკი დიალოგი დაიწყო, მოეწონება ადამიანთან, რომელსაც საინტერესო ხედვები აქვს, კონფლიქტის გადაჭრის გზებზე ისაუბროს. მინდა, აღვნიშნო, რომ ალასანიას ფაქტორი აფხაზებთან მოლაპარაკებაში ძალიან მნიშვნელოვანია.

***– შამბამ თქვა, ალასანიას მომავალში შევხვდებიო. ალბათ, იმას გულისხმობს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით თბილისში სულ მალე, ახალი ფედერალური უწყება შეიქმნება. როგორც ამბობენ, ეს საკითხი სექტემბრისთვის უნდა გადაწყდეს.***

– როდის გადაწყდება, ამას ასე ზუსტად მე ვერ გეტყვით. ეს საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების პრეროგატივაა. ვიცი, რომ უნდა შეიქმნას ახალი, მძლავრი სტრუქტურა, რომელიც მოქნილი, სერიოზული პოტენციალით დაკომპლექტდება. იმ ნაბიჯებით 13 წლის განმავლობაში რომ მივდიოდით, რა თქმა უნდა, უკვე ვეღარ ვივლით. ჯერ ერთი, ლეგიტიმური არც ვიყავით, რასაც ითვალისწინებს ნამდვილი ლეგიტიმაცია, ჩვენ ამას სულ მალე დავინახავთ. მე პირადად შეურაცხყოფილი ვარ იგივე შამბას განცხადებით, – ამ სტრუქტურებთან არ ვისაუბრებო. თუმცა, არც მე და არც არავინ არ ხვდება ამას ისე, რომ არიქა, როგორ თქვი შამბა შენ ეს. სტრუქტურების შეცვლის მომხრე თავიდანვე ვიყავი. ეს აუცილებელია.

***– დავუბრუნდეთ გაეროს თბილისის ოფისში ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრას. ითქვა, რომ კომპრომისული გადაწყვეტილებების მისაღწევად ამჯერად მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. გამოდის, სულ ფეხის ადგმის პროცესში ვართ. ვერა და ვერ გავცდით პირველ ნაბიჯებს.***

– ჩემთვის მაგალითად, პირველი ნაბიჯი იყო ის შეხვედრა, რომელიც ჟენევაში ირაკლი ალასანიასა და სერგეი შამბას შორის შედგა. შამბამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ირაკლი ალასანია არის არა მარტო პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის საკითხში, ის ეგრეთ წოდებული (მეც ასე უნდა ვთქვა) აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეა. მიუხედავად ამისა, პირდაპირი შეხვედრა შედგა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს კონფლიქტის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

***– თუ ნავსი გატყდა, ბარემ აქაც ოფიციალურად შეხვედროდა.***

– აქ არის ერთი საინტერესო მომენტი. მე არ მინდა ახლა ბატონ ირაკლი ალასანიას ქათინაურები ვუთხრა, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ შამბას ალბათ, მასთან საუბარი გაუჭირდება.

***– რატომ?***

– გაუჭირდება როგორც თუნდაც პოლიტიკოსს. შამბა ამას ჟენევაში მიხვდა. რაც უფრო ძლიერი დიპლომატი ჰყავს მოსაუბრე, თვითონაც მით უფრო მომზადებული უნდა იყოს. შამბა, ალბათ, მოემზადება. ამიტომაც თქვა, მომავალში შევხვდებიო.

***– უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება მოსაწონ დათმობაზე წავიდა, როცა დაკავებული თურქული გემის ტვირთი აფხაზურ მხარეს გადასცა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ შეხვედრასაც ჩაშლა ემუქრებოდა. აკი ამ მოტივით აფხაზურმა მხარემ ივლისში დაგეგმილი მოლაპარაკებები ჩაშალა...***

– საქართველოში, როგორც იქნა, კანონი კანონობს. ეს, უპირველესად, პრეზიდენტ სააკაშვილის დამსახურება გახლავთ. უკანონო ტვირთი მესაზღვრეებმა დააკავეს. მათ თავიანთი საქმე ხუთიანზე შეასრულეს. რაც შეეხება ტვირთის გადაცემას, ეს გახლავთ კეთილი ნება, პრეზიდენტ სააკაშვილის საჩუქარი აფხაზ ხალხს, იმიტომ, რომ ის ტვირთი მიეკუთვნა საქართველოს. ჩვენ ის კი არ დაგვიბრუნებია, არამედ კეთილი ნება გამოვხატეთ და აფხაზ ხალხს, რომელიც დღეს პრაქტიკულად შიმშილობს, გადავეცით.

***– დელეგაციას, როგორც ჩანს, აგრესიულად განწყობილი აფხაზი ჟურნალისტები ჩამოჰყვნენ. ერთ-ერთი მათგანის მაისურზე ეწერა: „სიკვდილი ფაშისტ ოკუპანტებს“. ნუთუ ამის გამო თავი უხერხულად არ იგრძნო, თუნდაც შამბამ?***

– მოდით, ამას ასე ნუ შევხედავთ. იმ წარწერის ადრესატად არც ქართველი მიმიჩნევია და არც აფხაზი. მე ასე ვიტყოდი: ეს იყო იმ ჟურნალისტის, ასე ვთქვათ, ცუდი ტონის მაჩვენებელი. ასეთი ადამიანები ყველგან არიან. მას ამით ვითომ თავის გამოჩენა უნდოდა, მეტი არაფერი. ასეთ გამოხდომებს აჯობებს, ყურადღება არ მივაქციოთ.

მთავარია, რომ ჩვენი დაბრუნება გარდაუვალია. ურთიერთმიტევება უნდა ვისწავლოთ. ღირსეულად უნდა დავბრუნდეთ. ღირსეული დაბრუნება შერისძიებას და სამაგიეროს გადახდას არ ნიშნავს. პირიქით, ჩატეხილი ხიდი უნდა აღვადგინოთ. რაც მოხდა, მოხდა. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ. შემთხვევითი არ არის, რომ აფხაზეთის მკვიდრნი, ქართველები და აფხაზები საზღვარგარეთ ერთმანეთთან ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე ცხოვრობენ. აფხაზეთის დასაბრუნებლად აუცილებელია აბსოლუტურად ყველა მიმართულებით ჩვენ აფხაზებისთვის საინტერესო პარტნიორები გავხდეთ. მეიმედება ისიც, რომ აფხაზეთის დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლება არძინბას რეჟიმისგან მკვეთრად განსხვავდება. ბაღაფშს და მის გუნდს მშვიდობა უნდა. ასევე, საგულისხმოა, რომ რუსეთი ნელნელა აფხაზეთზე უარს ამბობს. თვითონ აფხაზებიც ხვდებიან, რომ მათი თვითმყოფადობის შენარჩუნება მხოლოდ საქართველოსთანაა შესაძლებელი.

**მზია გელენავა**

◎ ენამ გულისა უნდა თქვას

# სადა ხართ, ოპოზიციონერებო?

***მართლაც, სადა ხართ, სად?! თქვენი ავტორიტეტული სიტყვა ხალხსაც წაადგებოდა და ქვეყანასაც, მით უმეტეს დღეს, როცა საქართველო ლამის საომარ მდგომარეობაშია, გახლეჩილი და დაფლეთილია...***

ასე თამამად და გაბედულად იმიტომ მოგიხმობთ, რომ საქართველოში ნამდვილი ოპოზიცია არ არსებობს, რაც ძალზე სავალალო უკმარობაა და ხელს უშლის ძლივს ფეხზე წამომდგარი ქვეყნის წინსვლას, მისი საფუძვლების გამაგრებას...

სამართლიანად იკითხავს ვინმე, — აბა ისინი ვინ არიან, დღე და ღამე მაღალი ტრიბუნებიდან, ტელეეკრანებიდან, გაზეთების ფურცლებიდან ხელისუფლებას რომ უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ და თათხავენ? კი არიან მათ რიგებში ოპოზიციონერობის მსურველი პატრიოტები, მაგრამ უმრავლესობა შენიღბული ქვეგამხედვარეა. მხოლოდ ზიზღს გამოხატავენ ოპონენტისა და მის მიერ გადადგმული ნაბიჯის გამო, რაც მტრის წისქვილზე წყლის მიშვებაა, და რაც ყველაზე სამწუხაროა, — ზოგჯერ გადამთიელის დავალების შესრულებაა.

თუ დღევანდელ სიტუაციას კარგად ჩავუფიქრდებით, ცხადი გახდება, რომ საქართველოში ეროვნულ ხელისუფლებას სოლომონ ლიონიძის დასის შემდეგ ოპოზიცია არ ჰყოლია. მაშინაც დღევანდელი „ოპოზიციის" (ზოგიერთთან ბოდიში!) დარად მოღვაწეობდა გარკვეული ჯგუფი, რომლის წევრები კრწანისის ომის წინ მოსახლეობის კარდაკარ დადიოდნენ და ურჩევდნენ ტყიან ადგილებში გახიზნულიყვნენ, ლაშქრობაში მონაწილეობისაგან თავი აერიდებინათ.

მოვუსმინოთ ალექსანდრე ორბელიანს: „...რევაზ ანდრონიკაშვილმა გამოუარა მამაჩემს ყარაბულაღში და ორთავ და-ძმათა, მამაჩემსა და მამიდაჩემს ეკატერინეს უთხრა: აღა-მაჰმად-ხანი ორასის ათასის მეტის ჯარით მოდის საქართველოზე, მეფე ირაკლი თავის ხაზინით და ქალაქის მცხოვრებით გუშინ აყრილან ქალაქითგან და მთიულეთის მთებისკენ წასულან. ბატონიშვილმა გიორგიმ შემოგითვალათ და გიბრძანათ, რომ თქვენც ოჯახებით ტყიანს მთაში დაიხიზნოთ. საგარეჯოს და იქითკენ სოფლებშიც გამოვიარე და იმათაც ბატონიშვილის ბრძანება ვუთხარი, რომ ისინიც საჩქაროდ აიყარნენ და ტყიანს მთაში შევიდნენო. მითამ ესენი სულ ბატონიშვილის გიორგის ბრძანება ყოფილიყოს. ამისთანა კაცნი ასე ატყუილებდნენ საქართველოს წრფელ ხალხსა"...



გვირგვინზე მეოცნებე უძვლო ენა.

ერთი მითხარით, ასე არ ატყუებს „წრფელ ხალხსა" მარად მომჩივანი და ტრიბუნააკიდებული შალვა ნათელაშვილი, როცა აცხადებს, — 10 მაისს თავისუფლების მოედანზე ბუშზე და სააკაშვილზე თავდასხმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოწყობილი პროვოკაცია იყოო და, ამ საკითხს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა? ეს ოპოზიციური გამოსვლა არ გახლავთ. ეს არის ღალატი. იმის გარდა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებსა და იმპერიულ პრესას საბაბი მისცა საინფორმაციო ომის ჟამს, გამოძიებას ხელი შეუშალა და აშკარად დადგა დამნაშავის მხარეს.

რამდენიმე დღით ადრე ლონდონში საშინელი ტერორისტული აქტი განხორციელდა, რომელსაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ამ საკითხზე შეიკრიბა თემთა პალატა, სადაც პრემიერმინისტრ ტონი ბლერის გამოსვლის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ოპოზიციის ლიდერმა. აქაურ ვითარებას შეჩვეულმა ვიფიქრე, — სულ ბღღვირს ადენს პრემიერს, რატომ აქამდე არ გაატარე ისეთი ღონისძიებები, რომ ეს ტრაგედია არ მომხდარიყოო. მან, პირიქით, მადლობა გადაუხადა მთავრობის მეთაურს მომხდარი ტრაგედიის შემდეგ გატარებული ოპერატიული ზომებისთვის და ინგლისელებს ერთად დგომისკენ მოუწოდა. ნათელაშვილისა და მსგავსი „ოპოზიციონერებისთვის" ეს პირველი და ერთადერთი შემთხვევა როდია. თუ დაკვირვებიხართ, როცა რუსეთთან ურთიერთობა იძაბება, სწორედ მაშინ უფრო აქტიურდება „ოპოზიცია" ჩვენში. განსაკუთრებით გაავდნენ, როცა საბოლოოდ გადაწყდა რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა.

როგორ დავიჯერო, — „ოპოზიცია" არ უნდა აღელვებინა და შეეწუხებინა კონფლიქტის სამშვიდობო ზონიდან თანამემამულეთა გატაცებას, რუსეთის ოფიციალური პირის მიერ საერთაშორისო, საჯარო აუდიტორიაში საქართველოს გუბერნიად მოხსენიებას, სეპარატისტების მიერ დევნილების უძრავი ქონების სხვებზე საპრივატიზაციოდ გამწესებას?..

მათ უფრო აღელვებთ, ვინ სად, რა თანამდებობაზე დაინიშნა. პარლამენტის წევრმა, „ახალმა მემარჯვენემ" დავით საგანელიძემ იმ დღეებში, როცა აფხაზეთში ქართველთა კარმიდამოს ხელყოფა განაცხადეს, სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია — ვიღუპებით, გუბერნატორმა ამბროლაურის გამგებლის განცხადება დააკმაყოფილა და თავისი ნაცნობი დანიშნა მის ნაცვლადო...

ნუ გაგიკვირდებათ. ყველაფერი ეს თითქოს ტრადიციულია, ასეთი „ოპოზიცია" იყო 1918-1921 წლების რეჟიმისა და სულკურთხეული ზვიად გამსახურდიას კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების დროსაც. „ოპოზიციონერები" ან ხელისუფალთა, ან თვით პარტიათა მტრები იყვნენ და არიან. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი უნიჭობით თუ ცნობიერებით გადამთიელის დაკრულზე ცეკვავს.

მეტად სავალალოა, როცა მთელი პარტიის ინტერესები უპირისპირდება ქვეყნის ინტერესებს.

რა ოპოზიციის თავსატეხია, — ვინ ვის გაშორდა, ვინ მაღალია და ვინ — დაბალი, ვინ ბლუყუნაა და ვინ მჭევრმეტყველი. გარემოვაჭრეები რომ არ უნდა ანაგვიანებდნენ ქალაქის ქუჩებს და მოედნებს, სადარბაზოებს და საბაზრო დახლებთან უნდა ემსახურებოდნენ მომხმარებელს, ცხადზე-ცხადია. მათი მხარში ამოდგომა ოპოზიციონერობა კი არა, საძრახი ქმედებაა.

როცა რუსთაველის გამზირი გადაკეტეს მოვაჭრეების გამო სხვადასხვა „ოპოზიციური" პარტიების წარმომადგენლებმა, მაშინ ბევრს შეელახა სახელი. ერთმა მითხრა, — ამ აქციამ გამოავლინა ის, რაც ლუსტრაციამ უნდა გამოამჟღავნოსო. ჭკუა ეყოთ გამოცდილ ლიდერებს, — მაგალითად, აკაკი ასათიანს და ორიოდე სხვას, რომ საჯაროდ არ მიიღეს მონაწილეობა „ძველბიჭურ" აქციაში.

რაღაცა მანქანებით და როცა მას სჭირდება (შეიძლება „იმათაც") ირაკლი მელაშვილი „ოპოზიციონერად" გამოგვეცხადება ხოლმე. ეს ტიპი იმათ რიცხვში იყო, რომლებიც გამსახურდიას უკიჟინებდნენ — „ჯერ დემოკრატია და მერე თავისუფლებაო". ეს იმას ჰგავს, ჯერ შიბაქის და მერე ბავშვის გაჩენისთვის იზრუნო.

როცა საქართველოს ძალზე უჭირდა, დამოუკიდებლობის აქტზე მელანიც კი არ შემშრალიყო, უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომაზე წამოდგა და „დიქტატორ" გამსახურდიას „დემოკრატიული" სილა გააწნა, — ამ „ტირანის" ხელში რა დემოკრატია უნდა აშენდეს, ჯერ ერთსქესიანთა უფლებების დაცვის და მათი შეუღლების კანონი არ მიგვიღიაო...

მერე შევარდნაძის ხელისუფლების ჟამს „თელასში" „ლობისტობდა". ამბობენ, დიდძალი ფული იშოვაო...

ნოემბრის წვიმიან დღეებში არც ფეხი დაუსველებია და არც ენა, ისე მოგვევლინა „ვარდების" შესაკრეჭად. „ოპოზიციის" ლიდერობანა და „ენამზეობა" ვითომ გააცურებს „ოპოზიციას?!"

ჩვეულებრივად განაგრძობს ზოგიერთი მთავარი „ოპოზიციონერი" წინაპარ ქვეგამხედვარ თავადთა ტრადიციას: მაგალითად, დავით გამყრელიძე და შალვა ნათელაშვილი საჯაროდ უცხადებენ მოსახლეობას, რომელი ქვეყნის რეჟიმებთან დააბეზღეს საქართველოს ხელისუფლება. ვაი ჩვენს პატრონს! ოპოზიციონერებს თავისებური ლოგიკა გააჩნიათ. მათთვის სასურველ ადამიანს თუ შეეხნენ, — „ცას ჩამოიღებენ", ადამიანის უფლება ილახებაო, საერთაშორისო ორგანიზაციებს ააფორიაქებენ, აქციებს-აქციებზე გამართავენ. ჯერ მათი ბრალეულობა ხომ არ დამტკიცებულა — რატომ აპატიმრებენო.

ამ დროს თავად თავიანთი „მტკიცებულებებით" აძლევენ „სამართალში" იმათ, რომლებიც მათ სურთ: — „გამსახურდიამ ავტობუსში ხალხი ჩაცხრილა"; „გამსახურდიამ 42 კგ. ოქრო გაიტაცა"; „სააკაშვილმა მოკლა ჟვანია"; „სააკაშვილი რუსეთის აგენტია. მათი ხელდასხმულია" და სხვა და სხვა...

ჩვენ აქ არ მოგვყავს იმ „ბრალდებულთა" სია, რომელსაც „ოპოზიცია" დამნაშავეებად აცხადებს. მათ გაზეთის ფურცლები ვერ დაიტევს.

ვინმემ არ იფიქროს, რომ ეს წერილი ხელისუფლების პოზიციის დასაცავად იწერება. პირიქით! იგი ნაკარნახევია გულისტკივილითა და სურვილით — ჩვენში შეიქმნას ჭეშმარიტი, უტყუარი ოპოზიცია თავისი ავტორიტეტული და მართალი სიტყვით, ქვეყნის ავ-კარგზე მზრუნველი ჯანსაღი პატრიოტული მიმდინარეობით, რომელიც მთლიანად ამოიღებს რეპერტუარიდან ყოველგვარ დაბეზღებასა და ცილისწამებას.

**რევაზ ურუშაძე,**
**გაზეთ „თვალთაის"**
**რედაქტორი.**

◎ ჯილდო

# წისქვილმა კი ფქვასო...

**მიუხედავად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თავზე ჩამოწოლილი საავდრო ღრუბლებისა და უკვე ატეხილი ჭექა-ქუხილისა (ეგებ მართლა არ იწვიმოს ისე, როგორც ქუხს!), აკადემიური ცხოვრება თავისი გზით მიდის: იმართება პრეზიდიუმის სხდომები, სხვადასხვა დონის თათბირები, უცხოეთთან მტკიცდება მეცნიერული კავშირები, არ წყდება სამეცნიერო მივლინებები და ეპოქალური აღმოჩენები, ხოლო გამორჩეული გამოკვლევები, საპატიო პრემიებით აღინიშნება — თქვენ წარმოიდგინეთ, როგორც სტალინის დროს. (რა ვუყოთ, თუკი ეს სახელი ლომაიას „ენაწამოსაკრავიც" გახდა — ეს უფრო მინისტრის პრობლემაა, ვიდრე სტალინისა!..).**

ახლახან აკადემიის პრეზიდიუმმა ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის 2005 წლის პრემია მიანიჭა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვლადიმერ ციციშვილს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორებს მაია ალელიშვილსა და ნანული დოლაბერიძეს. ეს სასახელო საკადემიო ჯილდო სამეულმა დაიმსახურა ნაშრომთა ციკლისათვის „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის — ცეოლითების თვისებების კვლევა, მიზნობრივი მოდიფიცირება და მემცენარეობაში გამოყენება" (მკითხველს შევახსენებთ, რომ ცეოლითი მინასავით ან სადაფივით მბზინვარე მინერალია, რომელსაც მრეწველობაში იყენებენ წყლის გასაწმენდად, ქსოვილების შესაღებად და სხვა მიზნებითაც).

ციკლით მონიშნული მიმართულებით ავტორებს ბოლო 10 წლის განმავლობაში 50-ზე მეტი ნაშრომი გამოუქვეყნებიათ, ოღონდ საკონკურსოდ მხოლოდ 2002-2004 სამი წლის პროდუქცია წარმოუდგენიათ: რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული 10 სტატია, საერთაშორისო კონფერენციის 4 თეზისი და დარგობრივი კრებულის 1 პუბლიკაცია.

სპეციალისტთა დასკვნით, ნაშრომები მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული; გამოკვლევებს საფუძვლად დაედო საქართველოს საბადოების ახლადმიკვლეული უბნების ცეოლითშემცველ ქანებთან დაკავშირებული, ბოლო წლებში განხორციელებული საძიებო სამუშაოები. შესწავლილია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ადგილმდებარეობის ბუნებრივი ცეოლითები, დადგენილია იმათი შემადგენლობა, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. თვალსაჩინო წვლილია შეტანილი ორი აქტუალური სამეურნეო-ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტაში: ნიადაგის გაწმენდა ტოქსიკური ელემენტებისგან და მცენარისათვის აუცილებელი საკვები მიკროელემენტშემცველი სასუქების შექმნა.

კიდევ რამდენიმე სიტყვა ახალ ლაურეატებზე: სამივე პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში მუშაობს — ვლადიმერ ციციშვილი ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის გამგეა, მაია ალელიშვილი — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ნანული დოლაბერიძე — წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი.

**თამაზ ეგანოიძე.**

◎ ინფორმაცია

## რუსეთი მალე აფხაზეთს მიატოვებსო

**აფხაზეთის** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა შიშობს, რომ საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის შემდეგ რუსეთი აფხაზეთს მიატოვებს.

„ვიმედოვნებ, რომ რუსეთი აფხაზეთს ასე უბრალოდ არ მიატოვებს, გამოიძებნება სხვადასხვა ვარიანტი, გაფორმდება რიგი ხელშეკრულებები. აფხაზეთის მიტოვება შავიზღვისპირა რეგიონის დაკარგვასა და ჩრდილოკავკასიის გაშიშვლებას ნიშნავს", — აცხადებს ლაკობა.

მისივე თქმით, მართალია, იმპერიები ინგრევიან, ისევე, როგორც 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაინგრა, მაგრამ დიდი რუსეთის უმართავ დაშლას სერიოზულად ვინმე არ უნდა განიხილავდეს".

## ექსპერტთა ჯგუფი სოხუმში გაემგზავრება

**დღეს** ქართველ რკინიგზელთა 9-კაციანი ექსპერტთა ჯგუფი, საქართველოს რკინიგზის ტექნიკური დირექტორის იური ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ფარგლებში მოქმედი რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის სამთავრობო კომისიების ტექნიკური ჯგუფების სხდომაში მონაწილეობის მისაღებად სოხუმში გაემგზავრება.

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში მიღებული ინფორმაციით, ქართველი რკინიგზელები აფხაზეთის ტერიტორიაზე 40 დღეს დაჰყოფენ და რუს და აფხაზ კოლეგებთან ერთად ფსოუ-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის ტექნიკურ მდგომარეობას შეისწავლიან.

## რა ჯდება შუალედური არჩევნები?

**საქართველოში** შუალედური არჩევნების ჩასატარებლად საჭირო თანხა 1 მილიონ 219 000 ლარით განისაზღვრა.

როგორც ცესკოს მდივანმა გურამ ჩალაგაშვილმა „მედიანიუსს" განუცხადა, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმა ცესკომ ფინანსთა სამინისტროს 2 აგვისტოს წარუდგინა.

ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები ცესკოს ანგარიშზე 12 აგვისტომდე უნდა ჩაირიცხოს.

## ახალი საპყრობილეც მოინახულა



**გუშინ** ქუთაისში საქართველოს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია ჩავიდა, რომელმაც მის უწყებაში დაქვემდებარებული ახლადგარემონტებული და მშენებარე ობიექტები მოინახულა.

პირველი ლენტი კემულარიამ ქუთაისის პათანატომიის ცენტრში გაჭრა, სადაც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იმერეთის რეგიონული სამსახური დაფუძნდა.

გუშინვე , იუსტიციის მინისტრმა ქუთაისში ევროსტანდარტების დონეზე გარემონტებული სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოს ახალი ოფისი გახსნა, რომელშიც საპასორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურიც გაერთიანდა. კოტე კემულარიამ ქუთაისის გარეუბანში მშენებარე ახალი საპყრობილე მოინახულა.

## ტერიტორია გარემოვაჭრეებისგან თავისუფალია

**ერთი** თვის წინათ მიცემული გაფრთხილების შემდეგ, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ ნავთლუღის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია გარემოვაჭრეებისგან გაათავისუფლა.

გუშინ დილით სავაჭრო ადგილებზე დაბრუნებულ მოვაჭრეებს დახლები ალაგებული დახვდათ. ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის გუშინდელმა რეიდმა მოსალოდნელი ექსცესების გარეშე ჩაიარა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა განუცხადა, ერთი თვის წინათ მოვაჭრეებმა სპეციალური გაფრთხილებები მიიღეს დაკავებული ტერიტორიის გათავისუფლების შესახებ, რომლის სანაცვლოდაც მათ სამგორის რაიონში არსებული ბაზრის ტერიტორიაზე ალტერნატიულ ადგილს გამოუყოფდნენ.

გაფრთხილების მიუხედავად, გარემოვაჭრეები აღნიშნულ ტერიტორიაზე ვაჭრობას მაინც განაგრძობდნენ.

## გზა აღდგენილია

**საქართველო-რუსეთის** საზღვარზე თერგის მიერ დაზიანებული საავტომობილო გზა აღდგენილია.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს სამხედრო გზის მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 128 კმ-ში დღეის მდგომარეობით მოძრაობა ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის ცალმხრივად არის დასაშვები, ხოლო მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა ამ მონაკვეთში დასაშვებია დილის 7 საათიდან — საღამოს 20 საათამდე. გზის დანარჩენ მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნულ გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველომ და რუსეთმა ერთობლივად განახორციელეს.

გასულ კვირას, საქართველო-რუსეთის საზღვარზე ნეიტრალურ ტერიტორიაზე თერგმა გზის სავალი ნაწილი ჩამორეცხა, რის გამოც საავტომობილო მოძრაობა შეზღუდული იყო.



**ინტერპრესნიუსი**

◎ ინფორმაცია

## „მერსედესის" ნაცვლად „ჯიპი" და უწყლოდ დარჩენილი სამცხე-ჯავახეთი

**სამცხე-ჯავახეთში** პრეზიდენტის რწმუნებულმა გოგა ხაჩიძემ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა გამართა და რეგიონის პრობლემებზე ისაუბრა.



შეხვედრას რაიონის გამგებლებიც ესწრებოდნენ. განსაკუთრებული ყურადღება ახალციხის წყალმომარაგებაზე გაკეთდა, კონკრეტულად კი ურაველის წყალსადენზე, რომლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი მილიონ ორასი ათასი ევრო, არასამთავრობოების განცხადებით, არამიზნობრივად დაიხარჯა. მისი მშენებლობა 4 წლის წინათ დაიწყო, თუმცა დღეს ახალციხის რაიონს უწყვეტი წყალმომარაგება მაინც არა აქვს.

შეხვედრაზე განსაკუთრებული აქცენტი რწმუნებულის ფონდიდან თანხების მიზნობრივ ხარჯვაზეც გაკეთდა. ბოლო დროს რეგიონის მასშტაბით რამდენიმე სოციალური პროექტი დაფინანსდა, თუმცა არასამთავრობოებმა გოგა ხაჩიძეს ფონდიდან 9 000-დოლარიანი ჯიპის შეძენა შეახსენეს. ავტომანქანის შეძენის საჭიროება რწმუნებულმა რეგიონში არსებული მოუწესრიგებელი გზებით და ხშირი ოფიციალური ვიზიტებით ახსნა.

მისი განცხადებით, 18 წლის „მერსედესი", რომელიც სამხარეო აპარატს უკვე 18 წელია ემსახურებოდა, ამისთვის გამოუსადეგარი იყო. როგორც ხაჩიძემ განაცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მსგავსი შეხვედრები სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

## ჯერ პრობლემები მოგვიგვარეთ, ქართულს მერე ვისწავლით!



**პარლამენტის** ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე ჯავახეთს ესტუმრა და ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების ხელმძღვანელებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს ყველა ის სოციალური პრობლემა, რომელიც ჯავახეთშია შექმნილი. მასპინძლების მხრიდან დღეს განსაკუთრებით კრიტიკული შენიშვნები სახელმწიფო ენის სწავლებაზე კეთდებოდა. ახალქალაქის მერმა ნაირ ირიციანმა ელენე თევდორაძეს ქართული ენის სწავლებამდე ჯავახეთში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება შეახსენა და განაცხადა, რომ მოსახლეობას ქართული ენის სწავლის დიდი სურვილი არ აქვს.

ელენე თევდორაძე გუშინვე ნინოწმინდის რაიონში დუხობორებით დასახლებულ რამდენიმე სოფელს ესტუმრა და მოსახლეობის პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

**ინტერპრესნიუსი**

◎ მშვიდობით, „ჩორნაია ვორონა!"

# ბადრაგიც ამოისუნთქავს და პატიმარიც

**რა დასამალია და, ჩვენი სამართალდაცვითი სისტემა ფეხზე პრაქტიკულად ახლა დგება. დგება არა მარტო ჩვენი მეცადინეობით, არამედ უცხოური დახმარებითაც. პოლიციაც, პროკურატურაც, უშიშროებაც, სასამართლო სისტემაც და იუსტიციაც თითქმის მიეჩვივნენ კიდეც ტრენინგების ჩატარებას, ფულადი თანხების თუ ტექნიკური აღჭურვილობის გამოყოფას. ამის წყალობით მალე ჩვენში ყველა დანჯღრეული „ჩორნაია ვორონა" ჩამოიწერება. აგერ, საქართველოში საფრანგეთის საელჩომ ახლახანს რა ინფორმაცია მოგვაწოდა:**

„პოლიციისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ტექნიკური დახმარების ფარგლებში, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა საქართველოსთვის ახორციელებს, 2004 წლის ოქტომბერში გამოხატული დახმარების თხოვნის შესაბამისად, საფრანგეთის საელჩო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადასცემს სრულიად განახლებულ, პატიმრების ბადრაგირებისთვის განკუთვნილ 10 ავტომანქანას. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჩუქრად გამოყოფილი ამ მანქანების გადაცემა, რომელთა ღირებულებაა 70 000 ევრო, მოხდება 9 აგვისტოს, 15 საათზე ქალაქ ფოთის პორტში.



საქართველოს ხელისუფლებისთვის მანქანების გადაცემას დაესწრებიან საფრანგეთის საელჩოს პირველი მრჩეველი, ქალბატონი დრუ-ლოზინსკი; შიდა უსაფრთხოების ატაშე, ქალბატონი ვალერი მულერა-მაიე; აგრეთვე საფრანგეთის ეროვნული პოლიციის ადმინისტრაციის ლოგისტიკის განყოფილების წარმომადგენელი, ბატონი პატრიკ დელორმი და საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ბატონი კოტე კემულარია".

მადლობის მეტი რა გვეთქმის!

დღევანდელ ცხოვრებაში, როცა ფული დიდი ოფლით მოიპოვება (მე არ ვგულისხმობ კრიმინალურ საქმიანობას), ყოველ ამგვარ, მსუყე საჩუქარს აქვს რაღაც მიზეზი, რაღაც საერთაშორისო სატკივარი, რომელიც ნებისმიერ ქვეყანას „აიძულებს" მსოფლიო პროცესებში აუცილებელ ჩაბმას, სხვათა მოძლიერებას. ამ გაკვეთილამდე საფრანგეთი თავად ცხოვრებას მიუყვანია. როგორ?

პოლიციის საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის სამსახური (SCTIP), რომელიც უშუალოდ უდგას სათავეში ასეთი პროგრამების ხორცშესხმას, შეიქმნა 1961 წლის 14 დეკემბრის დეკრეტით, აფრიკის დეკოლონიზაციის დროს. მისი ამოცანა გახლდათ ახლადწარმოქმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებში საფრანგეთის პოლიციისთვის დახმარების გაწევა. ეს სამსახური სწრაფად განვითარდა 80-იანი წლებიდან. მისი გეოგრაფიული თანამშრომლობის არეალი თავდაპირველად მოიცავდა აფრიკის ინგლისურენოვან და ლათინური ამერიკის პორტუგალურენოვან ქვეყნებს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას, ზოგიერთ არაბულ და შუა აღმოსავლურ ქვეყანას. შემდგომში მისი საქმიანობა ჩამოყალიბდა სუვერენულობის და ჩაურევლობის პრინციპების დაცვით რეალური პარტნიორობის ძიებაზე, რამაც ხელი შეუწყო თანამშრომლობის განვითარებას გაცვლის სფეროში და არა ჩანაცვლების მოვლენას, როგორც ეს ადრე ზოგჯერ ხდებოდა ხოლმე.

საერთაშორისო თანამშრომლობა გამოიხატება რჩევების მიცემაში და კადრების მომზადებაში. იგი აგრეთვე იძლევა ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას შიდა უსაფრთხოების ისეთ პრიორიტეტულ სფეროებში, როგორიცაა ტერორიზმი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ორგანიზებული დანაშაულობა, არალეგალური იმიგრაცია. პოლიციის საერთაშორისო აქცია უპირველეს ყოვლისა უნდა პასუხობდეს ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე საჭიროებებს და ებრძოდეს სხვადასხვა ფორმით გამოხატულ საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულობებს.

ამრიგად, პოლიციის საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის სამსახური მიმღებ ქვეყანაში დამყარებული მჭიდრო ურთიერთობების, გამოცდილების გაზიარების, კადრების მომზადების მეშვეობით და სემინარების ორგანიზებით მონაწილეობს მასპინძელი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების მიერ განხორციელებულ აქციებში. ამასთან, ფრანგული პოლიციის საზღვარგარეთ ყოფნა სხვადასხვა სფეროში ყოველმხრივი თანამშრომლობით უდავოდ ხელს უწყობს შიდა უსაფრთხოების განვითარებას.

უფრო კონკრეტულად, რა არის ეს შიდა უსაფრთხოება?

შიდა უსაფრთხოება არის კონსტიტუციური უფლება (1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა), რომელიც აღიარებულია თითოეული მოქალაქის მიერ. ეს უფლება იძლევა უსაფრთხოდ მისვლა-მოსვლის, ფიქრის, კომუნიკაციის გარანტიას. საკომუნიკაციო საშუალებების აქსელერაციამ და ლიბერალიზაციამ იგი ისეთ სამიზნედ აქცია, რომელიც მხოლოდ ეროვნულ ფარგლებში აღარ თავსდება. ამჟამად საზრუნავს წარმოადგენს არა იმდენად საზღვრების დაცვა საომარი ტიპის აგრესიისგან, რამდენადაც თითოეული მოქალაქისთვის ისეთ გარემოში ცხოვრების გარანტიის მიცემა, რომელიც მას გამრავლების და განვითარების საშუალებას მისცემს.

ტრანსნაციონალური კრიმინალური მდგომარეობა, რომელიც ერთ ქვეყანაში თავს იჩენს ტრანზიტის მეშვეობით, მეორეში კადრების მიღებით, ხოლო მესამეში ფულის გათეთრებით, იწვევს მნიშვნელოვან დესტაბილიზაციას, პოლიტიკური სისტემის და ეკონომიკის დაავადებას, კორუმპირებულობას. იგივე ნარკოტიკებით, იარაღით თუ ადამიანებით ვაჭრობამ, ტერაქტების განხორციელებამ, რელიგიური და ეთნიკური შუღლის გაღვივებამ ბაზრებს, სამიზნეებსა და ურთიერთობებს საყოველთაო ხასიათი მისცეს. სწორედ აქედან გამომდინარეობს მათზე ზუსტი რეაგირების მოხდენის აუცილებლობა. ამასთან, ეს რეაგირება უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბის.

გამოდის, რომ ის, რასაც დღეს აკეთებს საფრანგეთი, სასარგებლოა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ თვით საფრანგეთისთვის, მთელი მსოფლიოსთვის. ნიუ-იორკისა თუ ლონდონის ტერაქტები ამის სრული დადასტურებაა.

და ბოლოს, მისასალმებელია ყველამ იცოდეს, რომ საქართველოში SCTIP-ის წარმომადგენლობა გაიხსნა 2002 წლის 9 სექტემბერს და მინიჭებული აქვს რეგიონალური კომპეტენცია სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკაში. მისი საქმიანობა ეფუძნება ხელშეკრულებას შინაგანი თანამშრომლობის საკითხებში, რომელსაც ხელი უნდა მოეწეროს საფრანგეთ-საქართველოს და საფრანგეთ-აზერბაიჯანს შორის, ასევე სომხეთთან 1995 წელს უკვე ხელმოწერილ ანალოგიურ ხელშეკრულებას.

2005 წელს მთავარი საქმიანობა გამოიხატება სამივე ქვეყანასთან უპირატესი კონტაქტების დამყარებაში მათს შიდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ ძალებს შორის. ერთობლივი შეთანხმებით დადგინდება ორმხრივი თანამშრომლობის მთავარი მიმართულებები, რომლებიც შემდგომ თვეებში განვითარდება.

თანამშრომლობის დანარჩენი მიმართულებანი სხვადასხვაა და შესაძლოა შეიცვალოს მთავარი თემატიკიდან (პოლიციის რეფორმა, სპეციალური მომზადება), სპეციალური თემატიკიდან (ნარკოტიკებით ვაჭრობა, არასრულწლოვანთა დანაშაულობა) ან მრავალპროფილიანი თემატიკიდან (სამოქალაქო კრიზისის მართვა) გამომდინარე. ისინი განვითარდებიან მრავალპროფილიანი ფორმის გამოყენებით და საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირი, ევროსაბჭო) მიერ შემუშავებულ პროგრამებთან შეთანხმებით.

ერთი სიტყვით, ზღვა სამუშაოა, რომლის წარმატება ქვეყანასაც წაადგება და ხალხსაც.

**ბონდო გულიაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 187, სამშაბათი, 9 აგვისტო, 2005 წელი.

სიღატაკის ზღვარს მიღმა...

# წყალტუბოელი დევნილები წყევლა-კრულვაზე გადადიან

კურორტ წყალტუბოს თითქმის ყველა სანატორიუმი თუ დასასვენებელი სახლი აფხაზეთიდან დევნილებს უკავიათ. ერთ დროს ულამაზესი შენობები ახლა უბადრუკად გამოიყურებიან. წვიმისგან და დრო-ჟამისგან ჩამორეცხილ-ჩამოშლილი კედლები უფრო ამძიმებს ისედაც გაუსაძლის პირობებში ჩავარდნილი ადამიანების ყოფას.

ამჟამად ქალაქში 6790 დევნილი ცხოვრობს. აქედან 5980 კომპაქტურად, ორგანიზებულად არის განსახლებული. დანარჩენი — კერძო სექტორში.

წლების განმავლობაში ამ სანატორიუმებს მზრუნველი ხელი არ დასტყობია. მოიშალა წყალგაყვანილობის, ელექტროგაყვანილობის სისტემები, ნესტისგან დალპა და მოირყა ფანჯრები. სანატორიუმ „მეშახტის“ ეზოში ფეკალური სითხე ამოდიოდა და სუნისგან შეწუხებული დევნილები გარეთ ვეღარ გამოდიოდნენ. თითქმის ყველა სახურავიდან წყალი ოთახებში ჩამოდიოდა.

ამ ზაფხულს საერთაშორისო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვებისა“ და ამერიკის მიგრაციის, ლტოლვილთა და განსახლების ბიუროს დაფინანსებით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი წყალტუბოს ოთხი სანატორიუმის — „მეშახტის“, „სამგურალის“, „მედეას“ და „სამოთხის“ რეაბილიტაცია-აღდგენა მოხდა.

3 აგვისტოს ამერიკის საელჩოს წარმომადგენელმა სარჟ ჩივერმა ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ მუშაკებთან ერთად შესრულებული სამუშაოები დაათვალიერებინა და ჩააბარა წყალტუბოში ჩასულ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ეთერ ასტემიროვას.

სანატორიუმ „მეტალურგის“ კომპლექსში შემავალ ორ კოტეჯს გამოეცვალა სახურავი და დაიხურა „ალუმინის პროფილით“; „მედეაში“, სადაც 339 დევნილი ცხოვრობს, შეიცვალა კარ-ფანჯრები, შეკეთდა სახურავი, აშენდა საშხაპე 200-ლიტრიანი წყლის გამაცხელებლით; „სამგურალში“ შეკეთდა დაზიანებული სახურავი, თუმცა, როგორც იქ მცხოვრებლებმა გვითხრეს, მთლიანად გამოსაცვლელია საკანალიზაციო სისტემა...

დევნილებმა მინისტრთან ერთად დახმარებისათვის მადლობა გადაუხადეს დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათ შორის „გადავარჩინოთ ბავშვების“ ზუგდიდის ადგილობრივი ორგანიზაცია „ერანის“ წევრებს.

სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ დევნილები. მათი შემწეობის თანხა თვეში 4 ლარს შეადგენს, რადგან არსებული 14 ლარიდან დანარჩენი დენის და პურის ფულს მიაქვს. ძალიან მძიმე იყო მათი ჩივილების მოსმენაც კი. ისინი ხელისუფლებისა და მთავრობისაგან მეტ ყურადღებას და დახმარებას მოითხოვენ. ამიტომაც, სადაც მინისტრი ეთერ ასტემიროვა გამოჩნდა, ყველგან ამაზე იყო საუბარი. უფრო მეტიც, რადგან თბილისიდან ვიყავით ჩასულები, არც საყვედურები დაგვკლებია. იმას, რასაც ქვემოთ გიამბობთ, არანაირი გამართლება არა აქვს და მართლაც არის ყურადღების მისაქცევი.

ყველა აღშფოთებული იყო იმით, რომ აფხაზეთის ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს შეუწყვიტეს 40 ლარი პენსია და მის ნაცვლად 28 ლარს აძლევენ. ეს სულ ახლახან მომხდარა და ამაზე გამწარებულების პირველმა ტალღამ, როგორც იტყვიან, მინისტრზე გადაიარა. — ეს თქვენ შეგვიწყვიტეთ პენსია. თუ ეს ასე არ არის, სიმართლე გვითხარითო. ეთერ ასტემიროვამ კი სიმართლე მართლა არ იცოდა. იგი დაპირდა, თბილისში ჩასული ამას აუცილებლად გაგირკვევთო.

„მეშახტეს“ ეზოში დევნილები შემოეხვივნენ მინისტრს და გაღიზიანებულნი უყვებოდნენ, რომ არა აქვთ შუქი, წყალი, რომ ავადმყოფობის დროს ექიმთან მისასვლელი და წამლის ფულიც უჭირთ.

დევნილი თამარ ბოჯგუა თავის გასაჭირს ჰყვება: სამი წელიწადია, ფეხი მოვიტეხე, ახლაც მაწუხებს და ექიმთან ვერ მივსულვარ უსახსრობის გამოო; ქვემო ეშერელი ალექსი აბაშმაძე და ავთანდილ დათუსანი ვეტერანობის პენსიის შეწყვეტას აპროტესტებენ; ყველა დევნილი მოითხოვს ყოველთვიური ფულადი შემწეობის გაზრდას — 4 ლარი არაფერში გვყოფნისო. შვილებისთვის აუცილებელი საკვებიც ვერ გვიყიდია, უმუშევრები ვართ და რომ ვივაჭროთ, თბილისივით აქ ამის საშუალებაც არა გვაქვსო.

ეთერ ასტემიროვა მათ ეუბნება: — მარტო შარშან წყალტუბოში მცხოვრები დევნილების განცხადებების საფუძველზე 57 ათასი ლარი გადმორიცხეს ბიუჯეტიდან, ყველაზე უმწეობის ერთჯერადი დახმარებისათვის და ასე აგრძელებს წლეულსაც. ამასთან, იგი შეჰპირდა მათ, რომ დენის ფულს რაიონს კი აღარ გადმოურიცხავს, არამედ პირადად დაურიგდებათ დევნილებს და რადგან დენი ისედაც ხშირად არ მიეწოდებათ, ეკონომიას თვით ეს ადამიანები გააკეთებენ...

მინისტრთან ერთად დევნილებს ხვდებოდნენ სამინისტროს სამმართველოების უფროსები ანზორ კეკელიძე და მურმან ზაქარია, წყალტუბოს გამგებლის მოადგილე თემურ კუხალაშვილი, რომელმაც მინისტრის საყვედურებზე, რომ ყოველთვე იხდიან დენის ფულს და ერთი თეთრი დავალიანებაც კი არა აქვთ, თქვა, ორი კვირაა, რაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და შუქიც იმიტომაა გამორთულიო. მაგრამ დევნილები ამბობენ, რომ ზამთრისთვის ეს პრობლემა უფრო გამწვავდება და მოითხოვენ შეშით დახმარებას.

ეთერ ასტემიროვა იწერს იმათ გვარებს და სახელებს, ვინც გადაუდებელ ერთჯერად ფულად დახმარებას საჭიროებენ და სთხოვს მათ, რომ განცხადებებით ქუთაისის სამმართველოს უფროსს, გურამ ბენდელიანს მიაკითხონ.

ყველაზე მძიმე მაინც სანატორიუმ „სამგურალში“ სტუმრობა აღმოჩნდა. ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ქეთევან ყურაშვილი ამბობს, რომ თუკი დევნილებს შემწეობის ყოველთვიური თანხები არ მოემატებათ, ისინი უბრალოდ, ვეღარ იარსებებენ, რადგან მათი 90 პროცენტი დაუსაქმებელია.

ერთი ხანშიშესული ქალბატონი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა. მისი შვილიშვილი მოსკოვში ყოფილა სამუშაოდ წასული და ქალი აქ ითხოვდა მისთვის სტატუსის მინიჭებას. მინისტრმა აუხსნა, რომ თუ ის არ ჩამოვა, სტატუსს ვერ მიიღებს, რადგან შეიძლება რუსეთის მოქალაქე იყოსო. ამაზე ქალი უფრო გაკაპასდა და წყევლა-კრულვა დაიწყო...

ერთი მამაკაცი მეუბნება, ახალგაზრდები, ვისაც შეუძლიათ, რუსეთში ან იშვიათად, საზღვარგარეთაც მიდიან სამუშაოდ და იქიდან არჩენენ ოჯახებს, ხოლო აქ დარჩენილები, სამუშაოს რომ ვერ შოულობენ, ნარკოტიკებსა და ათას სისაძაგლეს ეძალებიან უსაქმურობის გამოო. ამას თუ მთავრობა დროზე არ მიხედავს, დავიღუპებითო.

ხანშიშესული ქალები აქაც პენსიის შეწყვეტის გამო საყვედურობდნენ მთავრობას. ერთი შავოსანი ქალი, რომელიც აცხადებს, რომ სნაიპერი იყო, რომ გაიგო, ჟურნალისტი ვიყავი, მომიახლოვდა და მითხრა, იცი, შვილო, ეგ საბუთი რამდენი დამიჯდაო... რომ ვკითხე, რა საბუთი-მეთქი, გამეცალა...

დევნილთა შემოტევით შეწუხებულნი წყალტუბოს სოცუზრუნველყოფის განყოფილებას ვესტუმრეთ ამბის შესატყობად. გვითხრეს, რომ — სულ 2200 დევნილი პენსიონერი ჰყავთ, მაგრამ ამათგან 1200 ომის ვეტერანი ან მათთან გათანაბრებული პირია, რომლებიც ყოველთვიურად იღებდნენ 40 ლარს. ეს ცოტა საეჭვო ციფრი იყო და ალბათ, ამით ამიტომაც დაინტერესდნენ. ჩვენთან, შარშან, ოქტომბერში პენსიონერთა რეგისტრაცია ჩატარდა, სადაც ომის მონაწილის დამადასტურებელი მოწმობებიც უნდა წარმოედგინათ. ვინც ვეტერანთა დეპარტამენტიდან ეს ცნობა მოიტანა, ჩვეულებრივად გაიარა რეგისტრაცია. ყველა პენსიონერი ამის შესახებ გაფრთხილებული გვყავდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუწყდებოდათ პენსია. ბევრმა ეს საბუთი ვერ წარმოადგინა. ზოგმა გაჭირვების გამო თბილისში ჩასვლა ვერ მოახერხა და ამიტომაც, რაიონებშიც შექმნეს ეს სამსახურები. უკვე რამდენიმე თვეა, რეგისტრაცია მიმდინარეობს და ჯერჯერობით, 200-მდე საბუთიც არ არის წარმოდგენილი...

წყალტუბოში მცხოვრებ დევნილებს აინტერესებთ, მისცემს თუ არა მათ სახელმწიფო ფულად კომპენსაციას, ან უახლოეს პერიოდში ექნებათ თუ არა საშუალება, რომ შეიძინონ პირადი საკუთრება. მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ მათ უთხრა: ჯერჯერობით არ გამოჩნდა დონორი, რომელიც შეისყიდის სანატორიუმის შენობებს და იქ მცხოვრებთ ფულად კომპენსაციას გადაუხდის...

**საღამოს საკმაოდ დაფიქრებულნი წამოვედით. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებზე სახელმწიფომ მართლაც სერიოზულად უნდა იზრუნოს. ბევრ მათგანს ნერვები ღალატობს და ხელისუფლების მიმართ აშკარად აგრესიულად გამოთქვამს უკმაყოფილებას. დევნილთა უმეტესობას ჯანმრთელობა აღარ შერჩა. მძიმე ყოფით პირობებში იზრდებიან მოზარდები და, როგორც გვითხრეს, ბავშვებიც ძალზე ცოტანი იბადებიან...**

**ლია ჭილლაძე**
**თბილისი-წყალტუბო.**



**სურათზე: ასე გამოიყურებოდა ერთ დროს წყალტუბოს სანატორიუმი „მედეა“.**

ფინანსური პოლიცია

# კონტრაბანდა, რომელიც დივერსიის ტოლფასია

## ჩამწარებული ნუგბარი

თურქეთის მოქალაქე ჰალილ ლენგერლიმ, რომელიც თბილისში, ქეთევან წამებულის პროსპექტზე საკონდიტრო ნაწარმის დამამზადებელ-გამსაღებელ ფირმა შპს „ექმექსს“ ხელმძღვანელობს, 2004 წლის განმავლობაში და 2005 წლის რამდენიმე თვეში დაახლოებით 198 ათასი ლარი შემოსავალი მიიღო. ეს, თითქოს, ჩვენში მცირე ბიზნესის განვითარების კარგი მაგალითია, მაგრამ, როგორც ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიული სამმართველოს მუშაკებმა დაადგინეს, აღნიშნული შემოსავალი უკანონო იყო, სახელმწიფო



ბიუჯეტს კი კუთვნილი თანხები აკლდებოდა, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობას ბატონი ლენგერლი ულიცენზიოდ ეწეოდა.

ანალოგიურ დანაშაულში ამავე სამმართველოს თანამშრომლებმა მუხრან ცუხიშვილიც ამხილეს, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში, ყოველგვარი ნებართვის გარეშე პურ-ფუნთუშეულის საამქროს ამუშავებდა.

ორივე ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

## არშემდგარი პაემანი

40 ათასი დოლარი ვალერი ბაზიაშვილმა ფირმა „სქაიბერდის“ წარმომადგენელს გეორგ მექონიანს ალუმინის ჯართის საფასურად გამოართვა, რომლისგანაც წინასწარ, „ბეს“ სახით 2 ათასი დოლარი ჰქონდა აღებული. შემდეგ ვ. ბაზიაშვილმა გ. მექონიანს დანარჩენი 38 ათასი დოლარიც გამოსტყუა და შეხვედრა შპს „ყაზბეგიპეკის“ ტერიტორიაზე დაუთქვა, სადაც თითქოსდა ჯართი ინახებოდა. თუმცა, როგორც, ალბათ, უკვე მიხვდით, გ. მექონიანი ვ. ბაზიაშვილს „პაემანზე“ ამაოდ ელოდა...

## „ნეკერჩხლიანი“ ვიზები, ფაფუ!

კანადის ვიზების გაკეთების პირობით შალვა ნინუამ ია ბოჭორიშვილსა და სულიკო ცინცაძეს 30 ათასი დოლარი გამოართვა. არადა, ამ ამბიდან უკვე სამ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ შ. ნინუას არც ვიზები გაუკეთებია და არც თანხა უკან არ დაუბრუნებია. თავად შალვა ნინუა, რომლის მიმართ ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, სამართალდამცველებთან შეხვედრას თავს არიდებს.

## საგადასახადოში ისევ სცოდავენ

საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ინსპექციის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტი გამოავლინეს და წინასწარი გამოძიება დაიწყეს ფინანსური პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა. სისხლის სამართლის საქმე, ქვემდებარეობის მიხედვით, ფინანსური პოლიციიდან გენერალურ პროკურატურაში გადაიგზავნა.

## ვაი იმ მაღაზიას...

ივლისის მიწურულსა და აგვისტოს დამდეგს ფინანსური პოლიცია საგანგებო რეიდებს ატარებდა თბილისში სარეალიზაციოდ გატანილი უაქციზო სიგარეტის აღმოსაჩენად და ჩამოსართმევად. აღსანიშნავია, რომ ფინანსური პოლიციის მუშაკებთან ერთად რეიდებში მონაწილეობდნენ ფინანსთა სამინისტროს გენერალური და საგადასახადო ინსპექციების თანამშრომლები. რამდენიმე დღის განმავლობაში ჩატარებული რეიდების შედეგად უაქციზო სიგარეტით მრავალი მოვაჭრე გამოავლინეს.

რეიდების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უაქციზო სიგარეტით ძირითადად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში — მეტროს სადგურებთან და ბაზრობებში — ვაჭრობენ. **„თუკი დადგინდა, რომ მაღაზიაში უაქციზო სიგარეტი იყიდება, გპირდებით, რომ იგი მანამდე იქნება დალუქული, ვიდრე იქ დოკუმენტური რევიზია არ დასრულდება. თუმცა, ასეთი ფაქტი ჯერჯერობით ცნობილი არ არის“**, — განაცხადა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსმა გოჩა ჭელიძემ.

საგულისხმოა, რომ უაქციზო სიგარეტის ჩამოსართმევად ჩატარებული რეიდებით კმაყოფილნი არიან აქციზიანი სიგარეტით ლეგალურად მოვაჭრეები, რომელთა განცხადებით, აქციზიანი თამბაქოს ნაწარმით ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა.

რეიდების შედეგად გამოვლენილი სამართალდამრღვევების მიმართ კი ოქმები გამოწერეს და ისინი სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

* * *

რუსეთის წარმოების უაქციზო 15 ათასი კოლოფი სხვადასხვა დასახელების სიგარეტი, კერძოდ, „ვინსტონი“, „ტორიკა“, „იავა“, „ალიანსი“, „ნოვოსტი“, „ვესტი“ და სხვ. ნანული პეტრიაშვილმა ცხინვალიდან ერთ პარტიად ჩამოიტანა და თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ კერძო სახლში შესანახად მიაბარა.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაცემებით, ნ. პეტრიაშვილი ეჭვმიტანილად სცნეს, მას 5-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

**— რუსეთის წარმოების უაქციზო სიგარეტის საქართველოში სარეალიზაციოდ შემოტანა ქვეყნის ეკონომიკისთვის დივერსიის ტოლფასია, — აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში და მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ 30 ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საგანგებო ცვლილებები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში, რომელთა მიხედვით ძალიან დამძიმებულია სასჯელი და სანქციები უაქციზო სიგარეტის შენახვა-რეალიზაციისა და ტრანსპორტირებისათვის.**

## ისევ ყალბი ჩათვლა

წინასწარი გამოძიება დაიწყეს ფინანსური პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა შპს „პერსპექტივის“ ხელმძღვანელ პირთა მიმართ. გამოძიების მტკიცებით, „პერსპექტივის“ ხელმძღვანელებმა ყალბი ანგარიშ-ფაქტურების გამოყენებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 70 ათასი ლარის ჩათვლა მიიღეს.

**„აფხაზეთის ლტოლვილ ინვალიდთა კავშირის“** თანამშრომლები კი ამავე სამმართველოს თანამშრომლებმა იმაში ამხილეს, რომ მათ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 330 ათასი ლარი არამიზნობრივად დახარჯეს და მიითვისეს.




**ოთარ ტურაბელიძე**

ჩვენებურები

# სამშობლოდან შორს ვცხოვრობთ, მაგრამ არა უსამშობლოოდ

**უკრაინის ქალაქ სუმში მცხოვრები ქართველების შესახებ ჩვენმა გაზეთმა არაერთი პუბლიკაცია შემოგთავაზათ. საომარი მოვლენების შემდეგ უკრაინამ ათასობით ქართველი შეიფარა. ამჟამად იქ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი 18000 ქართველი ცხოვრობს. ქალაქ სუმში მათი რიცხვი 550-ა. ერთ-ერთი მათგანი ოჩამჩირიდან გადახვეწილი მაია ზარანდიაა.**



აფხაზეთის ტრაგიკულ მოვლენებზე მაია არ საუბრობს, მაშინ იგი 10 წლის იყო და ბავშვურ მეხსიერებაში ყველაფერი სხვაგვარად აისახა. დღეს ხვდება, რომ რეალობა გაცილებით მწარე იყო. ერთ დღეს, ოჩამჩირიდან ქუთაისში მიმავალი თვითმფრინავით, ზარანდიების ოჯახმა მშობლიური კუთხე იძულებით დატოვა იმ იმედით, რომ მალე კვლავ დაბრუნდებოდა. ქუთაისში რამდენიმე წელი დაჰყვეს, თუმცა შემდგომ, არსებულ სიდუხჭირესთან გასამკლავებლად, მამა და ძმა მოსკოვში გაემგზავრნენ. მაია კი დედასთან ერთად სუმში დასახლდა. ამასობაში უმაღლესში ჩაბარებაც გადაწყვიტა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უკრაინული ენა უნდა სცოდნოდა. მართალია, ერთი წელი დაკარგა, სამაგიეროდ, ენა კარგად შეისწავლა და იქვე, უკრაინის საფინანსო და ეკონომიკურ აკადემიაში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. წელიწადის დაკარგვას არ ნანობს და ცნობილ გამონათქვამს იშველიებს, — „რამდენი ენაც იცი, იმდენი ადამიანი ხარო“.

სწავლის პერიოდში მაიამ მონაწილეობა მიიღო აკადემიასთან არსებული ტელევიზიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. მისმა გადაცემამ — „კოლხეთის მემკვიდრეები“ — მოწონება დაიმსახურა. ამის გარდა, იგი საინფორმაციო პროგრამის წამყვანადაც დანიშნეს. მისთვის გამონაკლისი დაუშვეს და მაიას პროგრამა უკრაინულის ნაცვლად რუსულ ენაზე მიჰყავდა.

აკადემიის დამთავრების შემდეგ მაიას ქალაქის ადმინისტრაციაში მაღალხელფასიანი სამსახური შესთავაზეს. იმისთვის რომ მუშაობა დაეწყო, იგი უკრაინის მოქალაქე უნდა გამხდარიყო. მაიაში ღრმად არის გამჯდარი სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმის შეგრძნება და სწორედ ამიტომ, ამ შემოთავაზებაზე უარი თქვა.

ამჟამად იგი საქართველოშია ჩამოსული და საკუთარი გადაცემისთვის საჭირო სიუჟეტებს აგროვებს, სურს, რომ ყველას დაანახოს და გააცნოს საქართველოს სხვადასხვა კუთხე, თავისი საინტერესო ხალხითა და ტრადიციებით, კულტურული ძეგლებით. მერე კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას აპირებს.

მაიამ ბავშვობის წლები გაიხსენა, როცა მთელი ოჯახი დასასვენებლად რაჭაში მიემგზავრებოდა. გადაწყვეტილი აქვთ, რომ წელსაც შეიკრიბონ და რომელიმე კურორტს კვლავ ესტუმრონ. საბოლოოდ კი საქართველოში დასახლებაზეც ფიქრობენ, რადგან ოჯახის ყველა წევრს უჭირს ქვეყნიდან მოშორებით ცხოვრება. — სამშობლოდან შორს ვცხოვრობთ, მაგრამ არა უსამშობლოოდ, ჩვენი საფიქრალი ყოველთვის ჩვენი ქვეყანააო, — ამბობს მაია ზარანდია და აფხაზეთში დაბრუნების იმედს არ კარგავს.

**ლელა ცქიტიშვილი**

ინფორმაცია

## მადლობა ბასაევს შამბასგან

**აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებას, რომ ის საომარი მოქმედებების დროს მხარდაჭერისთვის შამილ ბასაევს მადლობას უხდის, ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა დავითაია აღმაშფოთებელს უწოდებს.**

**„სერგეი შამბა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა და თუ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ტერორიზმს ებრძვის, მაშინ შამილ ბასაევის მსგავსი ტერორისტების მხარდამჭერის გამო, მან სოხუმის ხელისუფლებასთან ურთიერთობა უნდა გაარკვიოს“, — აცხადებს პაატა დავითაია.**

**მისი თქმით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დეკლარირება და იმავდროულად, აფხაზი სეპარატისტების მთავრობის მხარდაჭერა შეუთავსებელია, რადგან სეპარატისტებმა, შამილ ბასაევის და ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულების მეშვეობით, აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობა გამოდევნეს.**

**ექსპერტი აცხადებს, რომ ამგვარი ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა ხელს უშლის როგორც რუსული საზოგადოების მიერ აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების სამართლიან შეფასებას, ისე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას.**

## იმპორტიორებს არაკეთილსინდისიერებაში სდებენ ბრალს



**ტერმინალ „ოპიზასთან“ შეკრებილი იმპორტიორები არაკეთილსინდისიერი გადამხდელები არიან, აცხადებს საბაჟო დეპარტამენტის აპარატის უფროსი დავით ჩხატარაშვილი.**

**მისი განცხადებით, საბაჟო დეპარტამენტს არანაირი 1000-ლარიანი გადასახადი არ დაუწესებია და ამ იმპორტიორებს ამ თანხას არც არაოფიციალურად თხოვენ.**

**როგორც ჩხატარაშვილი განმარტავს, იმპორტიორებს, რომლებმაც გუშინ აქცია გამართეს, დოკუმენტები მოუწესრიგებელი აქვთ და მათში საქონლის ფასები გაყალბებულია.**

**ამ ეტაპზე, როგორც ჩხატარაშვილი აცხადებს, იმ ფასებს ადგენენ, რომლის მიხედვითაც ამ გადასახადების განბაჟება მოხდება.**

## ჩასახლების პროცესი არ შეჩერებულა

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი მამუკა ნაკაშიძე არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს წალკაში აჭარელი ეკომიგრანტების ჩასახლების პროცესი ადგილობრივ მოსახლეობასა და ჩასახლებულებს შორის მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად შეჩერდა.**

**როგორც ინტერპრესნიუსს მამუკა ნაკაშიძემ განუცხადა, წალკის რაიონში ეკომიგრანტების ჩასახლების პროცესი გეგმაზომიერად ხორციელდება და ეს პროცესი არ შეჩერებულა.**

**„ჩვენი მიზანია, თვითნებურად არ ჩასახლდნენ და ეს პროცესი კანონიერ ფარგლებში მოექცეს. თუმცა, გარკვეულ ძალებს ეს არ სურთ, რადგან ამით შემოსავალი მოაკლდათ. საქმე ის არის, რომ რაიონში ბევრია ბერძნების მიერ დატოვებული ცარიელი ბინა, ადგილობრივი სომხები კი ცდილობენ ამ ბინების ხელში ჩაგდებას და გადამყიდველის როლში გამოსვლას. მთავრობამ ეს აკრძალა. ჩვენ პირდაპირ მფლობელებს ვეკონტაქტებით და მიტოვებულ ბინებს მათგან ვყიდულობთ. ამან კი სომეხი ეროვნების ზოგიერთი მოქალაქის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან გადამყიდველობა აღარ გამოსდით და პროვოკაციებს სპეციალურად აწყობენ“, — განაცხადა აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა.**

**მისივე თქმით, წალკაში სიტუაცია მართვადია და საგანგაშო არაფერი ხდება. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში იქ 60-მდე ოჯახის ჩასახლება მოხდა, დაახლოებით 2 კვირაში კი, ამჯერად, ახმეტის რაიონში 12 ოჯახის ჩასახლება იგეგმება.**

**ნაკაშიძის განცხადებით, აღნიშნული პროგრამების განხორციელებისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დამატებით 2 მილიონი ლარი მოითხოვა, რომლის მიღების შემდეგ ჩასახლების პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდება.**

## კონკურსი ობიექტების გაყიდვის მიზნით

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ობიექტების გაყიდვის მიზნით გუშინ კონკურსი გამოაცხადა, საიდანაც ბიუჯეტში სავარაუდოდ, 500 000 დოლარის მობილიზებას გეგმავს.**

**კონკურსი გამოცხადდა საირმის ქუჩაზე მდებარე საცურაო აუზზე და მასზე დამაგრებულ მიწის ფართზე, რომლის საწყისი ღირებულება 400 000 დოლარით განისაზღვრა.**

**გასაყიდად ასევე გამოტანილია რუსთავში მდებარე შპს „ინსტიტუტი მეტალურგპროექტი“, რომლის საწყისი გასაყიდი ფასია 60 000 დოლარი. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 93 130 ლარს შეადგენს. საწარმოს ძირითადი საქმიანობა მეტალურგიული და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებაა. დებიტორული დავალიანება 2 427 ლარს, ხოლო კრედიტორული 1000 ლარს შეადგენს.**

**გაიყიდება შპს „მერქანი“, რომლის საწყისი ფასია 90 000 დოლარი. საწარმოს ძირითადი საქმიანობა სამრეწველო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციაა. მისი საწესდებო კაპიტალი 162 950 ლარს შეადგენს.**

**ასევე კონკურსი გამოცხადდა შპს „კრწანისი-2000“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 100-პროცენტიან წილზე, რომლის საწყისი ფასი 20 000 დოლარია.**

**ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება გუშინ დაიწყო და 8 სექტემბრამდე გაგრძელდება. კონკურსი 9 სექტემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიმართება.**

**ინტერპრესნიუსი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ფსოუ-ენგურის სარკინიგზო მონაკვეთის გამოკვლევის სამუშაოები 9 აგვისტოს დაიწყება

**„ფსოუ-ენგურის მონაკვეთზე სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გამოკვლევის სამუშაოები დაიწყება 9 აგვისტოს და უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 1 ოქტომბრისათვის“, – განაცხადეს რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროში.**

როგორც რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს სარკინიგზო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელმა მიხეილ აკულოვმა თქვა, 1 ოქტომბრამდე უნდა მიიღონ ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის ინფრასტრუქტურის, სალოკომოტივო და სავაგონო მეურნეობის, ენერგომომარაგების მდგომარეობის შესახებ. „მუშაობის შედეგების მიხედვით მომზადდება წინასაპროექტო დოკუმენტი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, შემდგომისთვის განვსაზღვროთ სამუშაოთა დაფინანსების მოცულობა. ჯერჯერობით რთულია ლაპარაკი ტვირთზიდვის მოცულობაზეც. აღდგენილ უბანზე, უწინარეს ყოვლისა, იგეგმება სატვირთო მიმოსვლის განახლება“, – აღნიშნეს სამინისტროში. აკულოვის აზრით, მუშაობის პირველი წლის განმავლობაში მაგისტრალს შეუძლია მიიზიდოს დაახლოებით სამი მილიონი ტონა ტვირთი.

როგორც მიხეილ აკულოვმა განაცხადა, სოჭი-თბილისის გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის განახლება შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად. პირველი ეტაპის ფარგლებში გზის ცალკეული მონაკვეთები აფხაზეთის ტერიტორიაზე აღდგება დროებითი სქემით, რაც ლოგიკურიც არის, „რადგან ეს მოგვცემს საშუალებას, შევაფასოთ ტვირთის გამგზავნთა და ტვირთის მიმღებთა, ყველა იმ პირთა მოთხოვნილებები, რომლებიც სარკინიგზო ტრანსპორტზე აგებენ თავიანთ ბიზნესს“. „გამოკვლევა პირველი ნაბიჯია“, – თქვა სარკინიგზო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელმა და გამოთქვა იმედი, რომ მომდევნო ნაბიჯებიც მალე გადაიდგმება და გადაწყვეტილებას ამ სარკინიგზო ხაზის აღდგენის შესახებ ხორცი შეესხმება. ამასთან, მიხეილ აკულოვმა თავი შეიკავა გამოეთქვა კომენტარი სამუშაოთა დაფინანსების მოცულობის შესახებ და აღნიშნა მხოლოდ ის, რომ ჯერჯერობით უმთავრესი ამოცანაა სარკინიგზო უბნის გამოკვლევა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ამავე დროს, მას არ გამოურიცხავს, რომ ამ პროექტის განხორციელების მიზნით საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის გარდა, შესაძლებელი იქნება აქტიური მუშაობა, ტვირთის მფლობელების და ყველა დაინტერესებული სატრანსპორტო კომპანიების კერძო კაპიტალის მოსაზიდად.

აფხაზეთის ტერიტორიის გავლით გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მხარეები ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ აუცილებელია განხორციელდეს სოჭი-თბილისის მიმართულებით მოძრაობის აღდგენის პროექტი. როგორც მანამდე რუსეთის ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინი აცხადებდა, „კავკასიაში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით დაინტერესებულია რეგიონის ყველა ქვეყანა. ეკონომიკური თვალსაზრისით, აფხაზეთის ტერიტორიის გავლით სარკინიგზო ტვირთზიდვა უფრო ხელსაყრელი იქნება საზღვაო და საავტომობილო ტვირთზიდვასთან შედარებით. არსებობს ამ პრობლემის სხვა ასპექტიც. ამჟამად უკვე ყალიბდება სატრანსპორტო სისტემები, რომლებიც ითვალისწინებენ აზია-ევროპის ტრანზიტის ათვისებას, რუსეთის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურათა გვერდის ავლით“. „თუ არ დავიწყებთ ამ პრობლემის გადაჭრას, – თქვა შემდეგ მინისტრმა, შეიძლება დავკარგოთ უზარმაზარი სატრანსპორტო ნაკადები“.

შეგახსენებთ, რომ 2003 წლის მარტში რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტებმა სოჭში ხელი მოაწერეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შემაჯამებელ განცხადებას, რომელშიც, კერძოდ, გათვალისწინებული იყო აფხაზეთის ტერიტორიის გავლით გამჭოლი სარკინიგზო მოძრაობის აღდგენის სამუშაო ჯგუფის შექმნა. 2004 წლის სექტემბერში სამუშაო ჯგუფის რუსული ნაწილის ხელმძღვანელად დაინიშნა მიხეილ აკულოვი. აფხაზურ მხარეს წარმოადგენს თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია, ქართულს – სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავა. 2004 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა იგორ ლევიტინმა მოლაპარაკებები გამართა სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტებთან, პრემიერმინისტრებთან და სამთავრობათშორისო კომისიების თანათავმჯდომარეებთან, რის შედეგადაც შეიქმნა საჭირო საფუძველი ამ სამუშაოთა განხორციელებისთვის.

მთელი რიგი მიზეზების გამო, სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა გაიმართა მხოლოდ მიმდინარე წლის ივლისში, მოსკოვში. ამის შემდეგ სამუშაო ჯგუფის მხარეების წარმომადგენლებმა გალში გამართეს თათბირი – 2 ივლისს და თბილისში – 11 ივლისს. მუშაობის შედეგი გახდა ის, რომ სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა 19 ივლისს სოხუმში ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც ამტკიცებს სამი მობილური ბრიგადის შემადგენლობას, კვლევითი სამუშაოების განხორციელების გრაფიკს, აგრეთვე, ამ დოკუმენტში შეთანხმებულია საკვლევი სამუშაოების განხორციელების დროს სპეციალისტების უშიშროების უზრუნველყოფის წესი. ამასთან, საქმე ეხება კვლევით, და არა აღდგენით სამუშაოებს, აღნიშნეს ტრანსპორტის სამინისტროში. სამუშაოთა მიმდინარეობას თვალყურს მიადევნებენ ყოველი მხარის წარმომადგენელი კოორდინატორები. სპეციალისტთა უშიშროებას უზრუნველყოფს აფხაზური მხარე, ყველაზე მეტად დაძაბულ ზონაში კი – თანამეგობრობის ქვეყნების კოლექტიური სამშვიდობო ძალები. ყოველი მხარე დააფინანსებს თავისი სპეციალისტების მუშაობას. სულ მუშაობაში 41 სპეციალისტი მიიღებს მონაწილეობას.

REGNUM
საინფორმაციო სააგენტო, 8 აგვისტო.

# საქართველოში შიშობენ, რომ მოსკოვმა, შესაძლოა, პოზიციები გაამკაცროს

**ქართველებს, ალბათ, დიდად არ გაკვირვებიათ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, ჩრდილოეთ კავკასიაში, და, კერძოდ, დაღესტანში კვლავ გამწვავდა ვითარება.**

რეგიონში შექმნილი სიტუაციის გაანალიზებისას, თითქმის ყველა ქართველი პოლიტოლოგი აღნიშნავდა, რომ არსებობს მათი ქვეყნის საზღვრებთან ახალი ომის გაჩაღების საშიშროება მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული ჩეჩნეთის კონფლიქტი. და აქ ბევრი რამ არის რუსეთზე დამოკიდებული. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს, მოსკოვს ხელს აძლევდეს თვით საქართველოში პოტენციური კონფლიქტების კერების არსებობა. რუსეთი ხომ ისეთ თამაშს ეწევა, რომლის მიზანიც ძალზე ბუნდოვანია.

ვლადიმერ პუტინი ხან თანახმაა დათმობებზე, ხანაც კი მტკიცე და შეუპოვარია. მაგალითად, იგი ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა შეესრულებინა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის შესახებ, ჯერ კიდევ ბორის ელცინის მიერ დადებული პირობა. ჯარების გაყვანა 2008 წელს უნდა დასრულდეს.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ შეძლო აჭარის პრობლემის გადაჭრა. ამ რესპუბლიკის პრეზიდენტი ცდილობდა დამოუკიდებლობის მოპოვებას, რათა, კვლავაც დაუსჯელად ეკეთებინა თავისი შავბნელი საქმეები. სწორედ აჭარის დედაქალაქ ბათუმში ჯერ კიდევ მდებარეობს რუსეთის ერთ-ერთი სამხედრო ბაზა.

სამაგიეროდ, კრემლმა მეტი რომ არ ვთქვათ, არაფერი გააკეთა იმ სხვა ორი პრობლემის გადაჭრისთვის, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე: საქმე ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონის სეპარატისტულ მისწრაფებებს.

აფხაზეთში სეპარატისტთა მთავრობა ხელისუფლების სათავეში მივიდა 1992-1993 წლების სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ. სამხრეთ ოსეთში თვითგამოცხადებული პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ცდილობს გამონახოს ბალანსი რეგიონის დამოუკიდებლობასა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მის შესვლას შორის. ორივე თვითაღიარებული რესპუბლიკა მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. რუსებს რომ მოესურვებინათ, ისინი, კარგა ხნის წინათ, შეძლებდნენ მორიგების მიღწევას საქართველოსთან და აიძულებდნენ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებას.

მაგრამ, როგორც ჩანს, კრემლს ეს არ სურს. რატომ? ამ კითხვაზე რაციონალური პასუხი არ არსებობს – აცხადებენ თბილისში. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, პუტინისთვის არანაირი აზრი არ უნდა ჰქონდეს რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან „რუხი ზონის“ შენარჩუნებას, იმ დროს, როცა რუსეთის მთლიანობას უკვე, კარგა ხანია, ემუქრება ჩეჩნეთი. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ახლა მშვიდად ყვავის კორუფცია და მიმდინარეობს თითქმის ყველაფრით უკანონო ვაჭრობა. სწორედ სამხრეთ ოსეთიდან გადავიდა ბესლანში 2004 წელს ტერორისტთა ნაწილი, რომლებმაც აიყვანეს მძევლები ამ პატარა ქალაქში. „როგორია რუსეთის გრძელვადიანი ამოცანები?“, – ეს ის კითხვაა, რომელზეც პასუხი ძალზე აინტერესებს პრეზიდენტ სააკაშვილის სპეციალურ წარმომადგენელს აფხაზეთის საკითხებში და აფხაზეთის დევნილი მთავრობის მეთაურს ირაკლი ალასანიას. „თუ მათ (რუსებს) დაუსვამ ამ კითხვას, ისინი არასდროს არ გეტყვიან, თუ რას ელიან შექმნილ ვითარებაში“.



ჩვენც იძულებული ვართ, მიახლოებითი პასუხებით დავკმაყოფილდეთ. ჯერ ერთი, არასტაბილურობის კერების მხარდაჭერა მოსკოვისთვის რჩება საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტად. გამუდმებული არასტაბილურობა ხელს უშლის განვითარებაში კავკასიის ამ პატარა რესპუბლიკას, აფრთხობს უცხოელ ინვესტორებს, მათ შორის, რუსებსაც.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რუსეთის მხრიდან ზემოქმედება არათუ შემცირდა, არამედ, გაიზარდა კიდეც. კრემლს ძალზე გაახარებდა, თუ წარუმატებლობით დასრულდება დემოკრატიული ექსპერიმენტი პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში, მაშინ, როცა, საქართველო და უკრაინა ცდილობენ საწინააღმდეგოს დამტკიცებას.

ჯერ იყო და მიხეილ სააკაშვილმა სცადა პრობლემა გადაეჭრა სამხედროების დახმარებით, რაც მას სასწრაფოდ გადაათქმევინეს ამერიკელმა მეგობრებმა. ამის შემდეგ, მიმდინარე წლის დამდეგს, მან ევროპის საბჭოში წარმოადგინა წინადადებები სამხრეთ ოსეთისთვის ფართო ავტონომიის მინიჭების შესახებ, რომელშიც თითქმის თანაბარია ქართველი და ოსი მოსახლეობის რაოდენობა. მაგრამ არც ცხინვალის ხელმძღვანელობა და არც მათი მოსკოველი მფარველები ამ წინადადებებს არ გამოხმაურებიან.

რუსმა სამხედროებმა, რომლებმაც დაკარგეს მთელი „ახლო საზღვარგარეთი“, თავიანთი ზარბაზნები ახლა მხოლოდ კავკასიას შეიძლება მიუშვირონ. ეს კიდევ ერთი მიზეზია, რომლითაც თბილისი განმარტავს მოსკოვის ასეთ ქცევას.

რუსებს ჩინებულად აქვთ შეგნებული, რომ ამ რეგიონში სიტუაციის გაკონტროლება სულ უფრო რთულდება. „აფხაზეთი არის რუსეთის უკანასკნელი ბასტიონი ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლის დაკარგვითაც ისინი ყველაფერს კარგავენ“, – მიაჩნიათ ქართველ პოლიტოლოგებს, რომლებიც ცდილობენ გააანალიზონ, თუ რატომ გაამკაცრა რუსეთმა პოზიცია ბაზების გატანის შესახებ მიღწეული მორიგების შემდეგ.

დაძაბულობა შეიძლება გამწვავდეს კიდევ იმიტომ, რომ, საქართველოს ხელმძღვანელობის აზრით, 2008 წლის პრეზიდენტის არჩევნების წინ რუსეთის ხელისუფლებას, რომელსაც ძალზე სურს საზოგადოებაზე კონტროლის შენარჩუნება, დასჭირდება კიდევ ერთი ომი კავკასიაში.

1999 წელს ჩეჩნეთში დაწყებულმა მეორე ომმა ხომ მიიყვანა ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინი. ისტორია ამჯერადაც განმეორდება?

Le Monde.fr
(საფრანგეთი).

# რუსეთის ელჩმა, შესაძლოა, ქართველი მეზღვაური საპყრობილიდან გამოიყვანოს

**რუსეთის ელჩი ნიგერიაში, ალბათ, ხელს მოაწერს გარანტიებს საქართველოს მოქალაქის პირობითი გათავისუფლებისთვის, რომელიც „აფრიკენ პრაიდის“ ტანკერზე მსახურობდა რუს მეზღვაურებთან ერთად.**

ოფიციალურმა ლაგოსმა ნიგერიაში რუსეთის საელჩოს ახალი მოთხოვნა წაუყენა. ელჩი იგორ მელიხოვი უნდა დაბრუნდეს შვებულებიდან და ხელი მოაწეროს პირად წერილობით გარანტიას იმის თაობაზე, რომ რუსი მეზღვაურები, რომლებმაც ნიგერიის საპყრობილეში ორ წელზე მეტი ხანი დაჰყვეს, გათავისუფლების შემდეგ შინაპატიმრობაში დარჩებიან და გამოცხადდებიან სასამართლოს სხდომებზე. საგარანტიო დოკუმენტის ტექსტი უკვე მზად არის. მაგრამ ეკიპაჟის ერთი წევრის ბედი ჯერ კიდევ ეჭვქვეშ დგას. ეკიპაჟის შემადგენლობაში იყო რუმინეთის ორი და საქართველოს ერთი მოქალაქე. რუმინეთს აქვს თავისი საკონსულო ნიგერიაში, როცა საქართველოს ამ ქვეყანაში არ გააჩნია არც საელჩო და არც საკონსულო. სწორედ ამიტომ მოითხოვს ლაგოსი, რომ რუსეთის საელჩომ მას მისცეს გარანტიები ქართველი მეზღვაურის შესახებაც. მეზღვაურთა გათავისუფლების საინიციატივო კომიტეტის მონაცემებით, რუსი დიპლომატი ამ პირობებზე თანახმაა.

ტანკერი „აფრიკენ პრაიდი“, რომლის ეკიპაჟის ნაწილსაც რუსი მეზღვაურები შეადგენდნენ, ნიგერიის საპატრულო კატარღამ დააკავა 2003 წლის 8 ოქტომბერს ქვეყნის ნაპირებიდან 31 მილზე. ნიგერიის ხელისუფლების მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, გემზე აღმოაჩინეს 11 ათას ტონაზე მეტი ნედლი ნავთობი. ტანკერის ეკიპაჟი დააპატიმრეს კონტრაბანდის ბრალდებით.

ЭХО
8 აგვისტო.

სს „რიონის“ (მისამართი ქ. ქუთაისის ახალგაზრდობის გამზ. 19ა) აქციონერთა კრების სააღრიცხვო დღეა 2005 წლის 20 აგვისტო.

სს „რიონის“ დირექცია

განცხადება

ს ს „სასტუმრო ივერიას“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება დანიშნული 2005 წლის 5 აგვისტოს გადაიდო ქვორუმის უქონლობის გამო.

აქციონერთა საერთო კრება განმეორებით ჩატარდება 2005 წლის 29 აგვისტოს 3 საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

1. საზოგადოების ქონების გასხვისება;
2. „სილქ როუდ გრუპ ს.ა.“-ს მიერ აქციების შესყიდვის შესახებ;
3. სხვადასხვა.

მისამართი თბილისი, ქიაჩელის 2.
დირექცია.

თბილისის საოლქო სასამართლოს №2/4-2153 25.05.05 დადგენილების საფუძველზე გამოცხადებულია შპს „ჩუღურეთის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე ქ. თბილისი ცაიშის ქ. №37. საკონტაქტო ტელეფონია 877 76-45-98.

ლიკვიდატორი მ. მაჩაბელი

# „დისქავერის“ დაბრუნება გადაიდო

**კოსმოსური ხომალდის „დისქავერის“ დაჯდომა გადაიდო ერთი დღით. ხომალდი დედამიწაზე უნდა დაეშვას სამშაბათს დილით, გრინვიჩის დროით.**

ასეთი გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სააგენტომ (ნასა) მიიღო იმის გამო, რომ ფლორიდის კანავერალის კონცხის თავზე, სადაც ხომალდი უნდა დაეშვას, დიდი ნისლიანობაა.




„დისქავერის“ ეკიპაჟის შვიდმა წევრმა ორბიტაზე დაჰყო 13 დღე-ღამე. ხომალდი შაბათს დილით გამოეყო საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს.

ყველაზე პასუხსაგები მომენტი დადგება მაშინ, როცა ხომალდი შემოვა დედამიწის ატმოსფეროში, რადგან სწორედ ამ ეტაპზე მოხდა 2003 წელს კატასტროფა, რომლის შედეგადაც დაიღუპა მეორე კოსმოსური ხომალდის „კოლუმბიის“ ექსპედიციის ყველა წევრი.

ამ დროის განმავლობაში, ნასამ არაერთი მილიარდი დოლარი დახარჯა შატლების სრულყოფისთვის. „დისქავერის“ ფრენაც წარუმატებლად დაიწყო: სტარტის აღებისას ხომალდს მოსძვრა თერმოიზოლაციის მცირე ნაწილი. ასტრონავტებს სარემონტო სამუშაოების განხორციელება უკვე ორბიტაზე მოუწიათ.

ამის შემდეგ, ნასას ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ შატლს რაიმე სერიოზული ხარვეზი აღარ ჰქონდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დისქავერის“ ეკიპაჟი შაბათს დილით გამოემშვიდობა საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მუდმივი ექსპედიციის წევრებს სერგეი კრიკალიოვს და ჯონ ფილიპსს. ამის შემდეგ შატლმა შემოუფრინა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს და განახორციელა მისი ფოტოგადაღება სხვადასხვა კუთხიდან.

შატლმა დედამიწისკენ წამოიღო საერთაშორისო კოსმოსური სადგურის მწყობრიდან გამოსული აპარატურა და იტალიური მოდული „რაფაელო“, რომელიც, გეგმის მიხედვით უნდა დაებრუნებინათ დედამიწაზე.

# დიდ ბრიტანეთში კიდევ ორ ეჭვმიტანილს წაუყენეს ბრალდებები



**დიდი ბრიტანეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა კვირას კიდევ ორ ეჭვმიტანილს წაუყენეს ბრალდებები ლონდონში 21 ივლისს ტერაქტის განხორციელების მცდელობის თაობაზე.**

როგორც ლონდონის პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, 23 წლის რამზი მოჰამადს და 27 წლის მუხთარ საიდ-იბრაჰიმს ბრალად ედებათ ტერაქტების განხორციელების მცდელობა სამგზავრო ავტობუსში და ლონდონის მეტროს „ოვალის“ სადგურში. ორშაბათს ისინი უკვე წარსდგნენ სასამართლოს წინაშე. ამ ადამიანებისთვის წაყენებული ბრალდებები ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობას.

მანამდე კი, 6 აგვისტოს, ანალოგიური ბრალდებები წაუყენეს 24 წლის იასინ ჰასან ომარს. როგორც სკოტლენდ იარდი ამტკიცებს, მან 21 ივლისს აამოქმედა ასაფეთქებელი მოწყობილობა ლონდონის მეტროპოლიტენში.

სულ ბრიტანეთში ამჟამად დაპატიმრებულია აფეთქების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი 10 ადამიანი. სამ მათგანს, მათ შორის, ორ ქალს, წაუყენეს ბრალდებები აფეთქების მომზადების შესახებ ინფორმაციის დამალვისთვის. დაპატიმრებულია ასევე 21 ივლისს ტერაქტების განხორციელების მცდელობაში ეჭვმიტანილი ოთხივე პირი. მუხტარ საიდ იბრაჰიმი და რამზი მოჰამადი დააკავეს ლონდონში, ოსმან ჰუსეინი კი – რომში. ბრიტანეთის მხარე ელის, რომ იტალია მას გადასცემს.

როგორც ცნობილია, 21 ივლისს მეტროსა და ავტობუსში დადებული ბომბები არ აფეთქებულა, ამოქმედდა მხოლოდ დეტონატორები. ტერორისტული აქტის განხორციელების ეს მცდელობა მოხდა ლონდონში 7 ივლისის აფეთქებებიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ, რომელთა შედეგადაც დაიღუპა 52 მშვიდობიანი მცხოვრები და ოთხი ტერორისტი.

# გადადგა გაეროს პროგრამის ხელმძღვანელი

**გაეროს აპარატიდან გადადგა „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ პროგრამის ყოფილი ხელმძღვანელი ბენონ სევანი. როგორც სევანმა თქვა, იგი გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გაწირა.**

პოსტიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება სევანმა მიიღო „ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ პროგრამის შესახებ მესამე პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე ერთი დღით ადრე, რომლის ირგვლივაც უკვე აგორდა რამდენიმე სკანდალი.

როგორც მოელიან, ამ მოხსენების ავტორები დაადანაშაულებენ ბენონ სევანს იმაში, რომ შუა 1990-იან წლებში იგი იღებდა ქრთამებს ერაყისთვის ნავთობის კონტრაქტების მიცემის სანაცვლოდ.

გაეროს ეს პროგრამა ერაყის მაშინდელ ლიდერს სადამ ჰუსეინს აძლევდა შეზღუდული რაოდენობით ნავთობის გაყიდვის შესაძლებლობას, რათა ამონაგები ფულით შეესყიდათ ქვეყნის მოსახლეობისთვის კვების პროდუქტები და სხვა პირველი საჭიროების საქონელი.



ბენონ სევანის ადვოკატებმა უკვე განაცხადეს, რომ ახალი მოხსენება შეიცავს დაუსაბუთებელ ბრალდებებს.

სევანი წარმოშობით კვიპროსელია, რომელმაც გაეროს აპარატში 40 წელი იმუშავა. თავისი გადადგომის შესახებ მან წერილობით შეატყობინა პირადად კოფი ანანს.

„ნავთობი სურსათის სანაცვლოდ“ პროგრამის შესახებ მორიგი მოხსენება შეადგინა დამოუკიდებელმა კომისიამ, რომელიც დააფუძნეს გაეროს გადაწყვეტილებით ამ პროგრამაში არსებული ყველა გარემოების გამოძიების მიზნით.

ბენონ სევანი აცხადებს, რომ იგი უდანაშაულოა. „ეს ყალბი ბრალდებებია, და თქვენ, ადამიანმა, რომელიც კარგად მიცნობს მთელი ამ წლების განმავლობაში, უნდა იცოდეთ, რომ ეს ყველაფერი შეთითხნილია“, – წერს სევანი გაეროს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ წერილში.

ბენონის თქმით, იგი იმედგაცრუებულია იმის გამო, რომ ანანმა ვერ შეძლო „დაეცვა ამ პროგრამის ისტორიული მონაპოვრები“.

# იაპონიის პრემიერი პარლამენტს დაითხოვს



**იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ძიუნიტირო კოიძუმიმ განაცხადა, რომ აპირებს დაითხოვოს ქვეყნის პარლამენტი და გამართოს ვადამდელი არჩევნები.**

ასეთი განცხადება კოიძუმიმ გააკეთა იაპონიის პარლამენტის ზედა პალატაში კენჭისყრის დასრულების შემდეგ, რომელმაც ხმათა უმრავლესობით უარყო პრემიერის ძირითადი წინადადებები ეროვნული საფოსტო სამსახურის პრივატიზაციის შესახებ.

ასეთი მარცხი მძიმე დარტყმა აღმოჩნდა კოიძუმისთვის, რადგან მან თავისი პოლიტიკური რეპუტაცია შეაგდო ფოსტის რეფორმის სასწორზე, რომლის შედეგადაც „ჯაპან პოსტის“ კომპანია მსოფლიოში უდიდეს ბანკად უნდა გადაქცეულიყო.

ამ გეგმას ჰყავდა მრავალი მოწინააღმდეგე, რომლებიც შიშობდნენ, რომ რეფორმა გააუარესებდა თვით ფოსტის მუშაობას, განსაკუთრებით კი – სოფლად.

როგორც ტოკიოდან იტყობინებიან, საფოსტო სამსახურის რეფორმის გეგმისთვის კენჭისყრას კოიძუმი ეკიდებოდა, როგორც ნდობის ვოტუმს ქვეყნის ხელმძღვანელის პოსტზე.

„ჯაპან პოსტი“ უზარმაზარი კორპორაციაა, რომელშიც, დაახლოებით 250 ათასი კაცი მუშაობს, და რომლის ფუნქციაშიც ბანდეროლების და წერილების დარიგების გარდა, სადაზღვევო მომსახურებაც შედის.



◎ ახალი ტექნოლოგიები

# პრობლემები, რომლებიც ერთ ჭერქვეშ წყდება

## იქნებ უცხოელ დამფინანსებლებს ქართველი მეცენატებიც ამოუდგნენ მხარში?

**„სერმა" კარგა ხანია, კერძო საწარმოებს რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის სრულყოფაში ეხმარება. მან, 1998 წლიდან მოყოლებული, მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით, 150 საწარმოს გაუწია დახმარება, რაც გამოიხატებოდა მარკეტინგის, გაყიდვების, ფინანსების, აღრიცხვის ოპერაციების, საექსპორტო ბაზრის დაცვის, ადამიანთა რესურსების მართვის დარგში კონკრეტული რეკომენდაციების მიცემაში.**

— მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დახმარებით, — ამბობს „სერმას" რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის ცენტრის დირექტორი ალეკო მარგიშვილი, — ჩვენ საკმაოდ ხანგრძლივ პროექტებს ვახორციელებთ. ამათგან განსაკუთრებით გამოვყოფდი „ბიზნესინკუბატორს", რომელიც მსოფლიო ბანკის, კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმის" და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC დახმარებით ხორციელდება. სამივე ჩვენი პარტნიორი ორგანიზაცია მადლობის ღირსია, რადგან მათ გადაწყვიტეს, „სერმასთან" თანამშრომლობით ხელი შეუწყონ და დააფინანსონ ეს მეტად საინტერესო პროექტი.



**— კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებს „ბიზნესინკუბატორი"?**

— მას დიდი მისია აკისრია. მოგეხსენებათ, საქართველოში მოღვაწეობს ბევრი მეცნიერი, რომლებსაც აქვთ შესანიშნავი გამოცდილება, დიდი ცოდნა იმისთვის, რომ ქვეყანაში შექმნან ახალი ტექნოლოგიები, მაგრამ, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მათ არა აქვთ საშუალება, თავიანთი სამეცნიერო-ტექნოლოგიური იდეები ბოლომდე განახორციელონ, რაც ჩვენს ქვეყანას აწუხებს და აზარალებს.

ამ პროექტის ფარგლებში ასეთ ხალხს მიეცემა საკუთარი სამეცნიერო იდეების რეალიზაციის ფინანსური და მატერიალური საშუალება. აი, რის გაკეთებას აპირებს „ბიზნესინკუბატორი".

საუბარია რამდენიმე, დაახლოებით 15 სხვადასხვა პროფილის საწარმოზე, რომლებიც ერთ ჭერქვეშ, ერთი მენეჯმენტის პირობებში უმეტესად ერთი და იგივე დაზგადანადგარების გამოყენებით მიაღწევენ მაღალ შედეგებს. მე უბრალოდ დავამატებდი იმას, რომ ტექნოლოგიური „ბიზნესინკუბატორი" საქართველოში მართლაც ახალი ხილია და ჩვენ პირველები თუ არა, ერთ-ერთი პირველები მაინც ვიქნებით იმ მიმართულებით, რომ საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე შევქმნათ ისეთი ინსტიტუტი, რომელიც არა ერთი ან ორი წელი, არამედ დიდხანს იარსებებს და შეძლებს, მაღალინტელექტუალური ჩანაფიქრიდან შექმნას საბოლოო პროდუქტები. ჩვენ ვალდებულებიცა ვართ, ასეთ ადამიანებს შევუქმნათ ფინანსური მდგრადობის საფუძველი, რათა მათ დამოუკიდებლად და მათთვის მომგებიან პირობებში აკეთონ ის საყვარელი საქმე, რომლისთვისაც ისინი დროს და ენერგიას ხარჯავენ. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლითაც „სერმა" არის დაკავებული.

საუბარში გვერთვება პროექტის მენეჯერი ზურაბ წერეთელი. ქვეყანაში, — ამბობს ის, — დაგროვილია ისეთი სამეცნიერო სიმდიდრე, რომელიც დღეს თუ არ გამოვიყენეთ, მერე შეიძლება ძალიან გვიანი იყოს — ეს ხალხი აღარ გვეყოლება. აი, მაშინ მართლაც ვიქნებით განვითარებადი ქვეყანა და მაშინ აღარ უნდა გვეწყინოს, თუ საქართველოს ზიმბაბვესთან ერთად მოიხსენიებენ.

„სერმამ" უკვე ორი წელია, შეისწავლა რამდენიმე საწარმო და სამეცნიერო ჯგუფი, რომლებმაც ამ რთულ პირობებში მოახერხეს არსებობა. 100 საწარმოდან შეირჩა 7, რომელთაც, ფაქტობრივად, თითქმის მზად აქვთ პროდუქტი. „თითქმის" ვამბობ იმიტომ, რომ მოწყობილობა არსებობს, მაგრამ მას სჭირდება შელამაზება, მოწესრიგება, რათა კონკურენტუნარიანი იყოს თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე.

ერთ-ერთ საწარმოში უკვე გამოუშვეს დეფექტოსკოპი, რომელიც ამოწმებს ბაგირებს, რომლებიც სწევს ლიფტს, ბაგირს, ამწეს, მაღაროში ვაგონს და ის, ფაქტობრივად, გამორიცხავს იმ უბედურებებს და ავარიებს, რომლებიც ხდება კორპუსებში, საბაგირო გზებზე, შახტებში და სხვა ობიექტებზე.

რამდენიმე უცხოელი უკვე გაეცნო ამ ჯგუფის საქმიანობას და ისინი აღფრთოვანებულნი დარჩნენ დანადგარის მუშაობით, სიზუსტით, ტექნიკური მონაცემებით. მათ სურთ, შეისყიდონ ეს დანადგარი.

ახალ ხელსაწყოზე — დეფექტოსკოპზე გვესაუბრება ალექსანდრე ქართველიშვილი: 35-40 წელია, რაც ამ საქმეს ვემსახურები, ბაგირში მავთულების მდგომარეობა რომ განვსაზღვროთ, სწორედ ამისთვის არის საჭირო დეფექტოსკოპი.

მსოფლიო პრაქტიკაში უამრავი ხელსაწყოა, მაგრამ ამათგან ჩვენი ყველაზე ზუსტია, იგი ძალიან მგრძნობიარე და დაბრკოლებამედეგია, რომელიც არ არის დამოკიდებული გადააადგილების სიჩქარეზე. ამ ხელსაწყოზე მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა. სწორედ მაშინ, როდესაც ხელი გვქონდა ჩაქნეული, მშველელად მოგვევლინა „სერმა", რომელიც ჩაწვდა ამ საკითხის აქტუალობას, ჩვენს გვერდით დადგა და მორალურ და ფინანსურ დახმარებას გვიწევს. საქმე ადგილიდან დაიძრა და სულიც მოვითქვით.

ზურაბ წერეთელს აქტუალურად მიაჩნია კიბერნეტიკის ინსტიტუტში დამუშავებული ჰოლოგრამების თემაც. ოღონდ აქ არის ძალიან ზუსტი ლაზერული მოწყობილობები, რომელთა სხვა ადგილზე გადატანა არ შეიძლება. ამიტომ მთავრობას ვთხოვთ, ხელი შეუწყონ ამ განყოფილების უნიკალურ საქმიანობას.

კარგია, რომ კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმი" და IFC დაინტერესდნენ ამ თემებით. თუმცა, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, პირველი დამფინანსებელი რომელიმე ქართული კომპანია ყოფილიყო.

„ბიზნესინკუბატორის" საქმიანობა მთლიანად ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარეობს, აქ დამუშავებული თემები საქართველოში არსებულ თითქმის ყველა დარგსა და ორგანიზაციას მოიცავს. ეს იქნება მედიცინა, ტრანსპორტი, მანქანათმშენებლობა თუ სხვა.

ერთ ჭერქვეშ წყდება პრობლემები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკას წინ წასწევს. სასიკეთო შედეგებს მალე ვიგრძნობთ და ჩვენ ამით ვიამაყებთ, — ამბობს ბატონი ალეკო მარგიშვილი და დასძენს, — მჯერა, როგორც კი ეს შედეგები ხელშესახები გახდება, კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმსა" და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას IFC გვერდში ამოუდგებიან ქართველი მეცენატები.

**ლალი ქინქლაძე**

◎ წიგნი

# „გოლგოთის" გზით — სიცოცხლისკენ

**აფხაზეთში ომი უკვე მძვინვარებდა, როცა პრესაში გამოჩნდა ინფორმაციები, ქართულ ჯარს ერთიანი საბრძოლო გეგმა არ გააჩნიაო. სამხედროებისგან გამიგონია, რომ ნებისმიერ შენაერთს ესაჭიროება არა მარტო შეტევის, არამედ უკანდახევის გეგმაც. ამით ოდნავადაც არ კნინდება მიზანი: ომი ხომ მოულოდნელობების „თაიგულია", ამიტომ კარგ მეთაურს შესაძლო უკანდახევის გეგმაც უნდა ჰქონდეს, რათა უაზრო მსხვერპლი თავიდან აიცილოს.**

ჩვენს მებრძოლებს აფხაზეთში უკანდახევის კი არა, შეტევის გეგმაც არ ჰქონიათ! ამიტომ იღებდნენ ურთიერთგამომრიცხავ ბრძანებებს, ამიტომ მოქმედებდნენ შეუთანხმებლად, რამაც სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა, თუმცა, რისი იმედი უნდა გვქონოდა ხელმოცარული მხატვრისგან, რომელსაც სამხედრო საქმის ინჩი-ბინჩი არ ესმოდა?

რა მოხდა აფხაზეთში, ამას, ალბათ, საქმეში ჩახედული ხალხი როდისმე გააანალიზებს და ყველა კითხვას თუ არა, ზოგიერთს მაინც სათანადო პასუხს გასცემს. ჯერჯერობით კი ვიმკით მწარე შედეგებს — შერცხვენას უაზროდ წაგებული ომის გამო, ათასობით ადამიანის სიცოცხლისა და უფრო მეტი ლტოლვილის გამოც...

აფხაზეთის ტრაგედიაზე დღესაც ბევრი იწერება. წერენ ისინიც, ვისაც 1993 წლის სექტემბრის სოხუმი თვალითაც არ უნახავს, და წერენ ისინიც, ვინც ომის დაწყებიდან დასასრულამდე იქ იყო, თავის თავზე იწვნია დამარცხების სიმწარეც და სირცხვილიც, ვინც სოხუმის დაცემის ბოლო დღეს ძლივს გამოაღწია „გოლგოთის გზით". **მათ რიცხვშია პოეტი სიმონ ზაქარაია, რო-**




**მელმაც ამ ცოტა ხნის წინათ შემოგვთავაზა კრებული „დევნილები „გოლგოთის" გზაზე".** წინასიტყვაობაში აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი თეიმურაზ მიბჩუანი ჯეროვნად აფასებს სიმონ ზაქარაიას ნაშრომს და სავსებით იზიარებს დევნილთა გადარჩენის მისეულ მოსაზრებებს: **პირველი ფაქტორი** — დევნილთა შინაგანი სიმტკიცე; **მეორე** — აფხაზეთის სვანური მოსახლეობის უანგარო დახმარება; **მესამე** — ურთიერთგატანა.

თვით ავტორი, სიმონ ზაქარაია წიგნის შესავალში წერს: „ჩვენს მრავალტანჯულ ხალხს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს თავის მიწაზე და სახლებში დაბრუნების იმედი, რის საფუძველსაც იძლევა ჩვენი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური გამოსვლები მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე სამართლიანი მოთხოვნების მხარდაჭერისათვის".

ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს ზემო სვანეთისკენ დაძრული ხალხის გასაჭირს. ამ მართლაც „სისხლიან გზაზე" ბევრმა ჰპოვა აღსასრული, მაგრამ უფრო მეტმა სამშვიდობოს გააღწია. არადა, გზა სავსე იყო მოულოდნელობებით — სიცივით, შიმშილით, ყაჩაღებით, მაგრამ ასევე სავსე იყო გულკეთილი სვანებით, საკუთარ ლუკმას უშურველად რომ უნაწილებდნენ უბედურებაში ჩავარდნილთ. ავტორს მოჰყავს ადამიანური მოვალეობის, თანადგომის, ურთიერთგატანის უამრავი მაგალითი და ამით გვიმტკიცებს, რომ მიუხედავად ათასი ჭირისა, ქართველი კაცი სულით მაინც არ დაეცა, რომ მას ამ გაუსაძლის გასაჭირში არასოდეს მოჰკლებია ხალხის თანაგრძნობა და ყურადღება.

ეს გზა, როგორც გითხარით, ავტორმა ფეხით გამოიარა. ვისაც საშუალება გაქვთ, წაიკითხეთ მისი მონათხრობი, კიდევ ერთხელ დარწმუნდით, რომ ყველა ვაიპოლიტიკოსის ნდობა არ შეიძლება, რომ ხალხმა უნდა გამოიჩინოს ჯეროვანი სიფხიზლე, რათა ავანტიურისტთა ანკესზე აღარასოდეს წამოეგოს.

**გუჯა რთველაძე**

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— სამსახურიდან კანონის დარღვევით გამათავისუფლეს, გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის შემიძლია, მივმართო ჩემი შელახული ინტერესების დასაცავად?**

**გიორგი ორაგველიძე.**

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ სამსახურიდან კანონის დარღვევით გაგათავისუფლეს, შეგიძლიათ, თქვენი გათავისუფლების შესახებ ბრძანება სხვადასხვა ინსტანციაში გაასაჩივროთ.

შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, შრომის დავის განმხილველი ორგანოებია:

— შრომის დავის კომისიები;

— საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირები;

— სასამართლოები.

შრომის დავის კომისია აუცილებელი პირველადი ორგანოა, რომელიც განიხილავს დაწესებულებაში წარმოქმნილ შრომით დავას, ერთი მხრივ, მუშა-მოსამსახურეებსა და მეორე მხრივ, დაწესებულების ადმინისტრაციას შორის.

შრომის დავის კომისიები იქმნება დაწესებულებებში პროფკავშირებისა და ადმინისტრაციის თანაბარი მონაწილეობით. თუ დაწესებულებას არ ჰყავს პროფკავშირი, მაშინ შრომის დავის კომისია იქმნება პროფესიული კავშირის ორგანიზატორისა და დაწესებულებების ხელმძღვანელის მეშვეობით.

შრომის დავის კომისიაში განცხადებათა მიღებას აწარმოებს პროფკავშირი. კომისია ვალდებულია, თქვენი განცხადება ხუთი დღის ვადაში განიხილოს. თუ შრომის დავის კომისიამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება (ვერ შეთანხმდნენ პროფკავშირისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები), თქვენ უფლება გაქვთ, კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერის ჩაბარებიდან 10 დღის განმავლობაში, დავის გადასაწყვეტად მიმართოთ პროფკავშირს. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია, გამოიტანოს დადგენილება დავის არსის გამო.

მოყვანილი ინსტანციების გავლა არ არის სავალდებულო მუშა-მოსამსახურის მიერ, მაგრამ კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის დავის განმხილველი კომისიები კომპლექტდება პარიტეტულ საწყისებზე და მასში თანაბრად არიან როგორც ადმინისტრაციის ინტერესების, ისე მუშაკის ინტერესების დამცველნი პროფკავშირის სახით.

პროფკავშირი არის საქმიანობის მიხედვით საერთო საწარმოო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია მისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა თუ ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა. ამდენად, ეს ორგანო თქვენი უფლებების დასაცავად ძალზე ეფექტურ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, რადგან „შრომის კანონთა კოდექსით", მას საკმაოდ ფართო უფლებამოსილება აქვს მინიჭებული.

თქვენ, ასევე, უფლება გაქვთ, შრომითი დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავის განსახილველად პირდაპირ მიმართოთ სასამართლოს. ამ შემთხვევაში, უმთავრესია, თქვენს მიერ არ იქნეს გაშვებული გათავისუფლების შესახებ ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გასაჩივრების ვადები.

თუ თქვენ ხართ საჯარო მოსამსახურე, გათავისუფლების შესახებ ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გასაჩივრების ვადა აითვლება ბრძანების გამოცემის დღიდან და ეს ვადა შეადგენს ერთ თვეს. ხოლო „შრომის კანონთა კოდექსის" 204-ე მუხლის თანახმად, დათხოვნის შესახებ ბრძანების გასაჩივრების გამო სასამართლოს უნდა მიმართონ მათთვის ამ ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

თქვენი გათავისუფლების ბრძანების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, თქვენ სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფალი ხართ.

**ირინე ღლონტი**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

◎ ინფორმაცია

## საავადმყოფოების ეზოებში სრული ანტისანიტარიაა

**სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია აგვისტოს ბოლოს საავადმყოფოების ეზოებსა და მიმდებარე ტერიტორიებს შეამოწმებს.**

**სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის დავით მესხიშვილის განცხადებით, საავადმყოფოების ეზოებში არსებული ანტისანიტარიით დღემდე არავინ დაინტერესებულა.**

**„საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოუწესრიგებელია ნარჩენების გატანის საკითხი. შენობის ფანჯრებიდან პირდაპირ ეზოში იყრება ყველანაირი სახის ნაგავი, მათ შორის, ერთჯერადი მოხმარების შპრიცები, რომლებიც შიდსით დაინფიცირების ერთ-ერთ საშიშ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს", — განუცხადა მედიანიუსს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა დავით მესხიშვილმა.**

**მისივე თქმით, საავადმყოფოების ეზოებში საოპერაციოდან გამოტანილი ნარჩენებიც გვხვდება.**

**„დაუშვებელია, ონკოლოგიური ოპერაციის ჩატარების შემდეგ საოპერაციოდან გამოტანილი ნივთები საავადმყოფოს ეზოშივე ეყაროს. ეს შეიძლება არაერთი დაავადების გამომწვევი მიზეზი გახდეს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია აგვისტოს მიწურულიდან რეიდების ჩატარებას დაიწყებს", — განუცხადა მედიანიუსს დავით მესხიშვილმა.**

**მედიანიუსი**

## რუსთავი „ოქროს ნიღაბისთვის" ემზადება

**რუსთავში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის „ოქროს ნიღაბისთვის" მზადება აქტიურ ფაზაშია შესული.**

**ფესტივალი, რომელიც წელს უკვე მეხუთედ ტარდება, 15 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნება და 2 ოქტომბერს რუსთავქალაქობის დღეს დაიხურება.**

**როგორც ინტერპრესნიუსთან საუბრისას რუსთავის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მაია ტაბაღუამ განაცხადა, საფესტივალო სპექტაკლების შერჩევა 25 აგვისტოს დასრულდება და საბოლოოდ გაირკვევა, რომელი თეატრები მიიღებენ „ოქროს ნიღაბში" მონაწილეობას.**

**„ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოში მოქმედ ყველა თეატრთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები ამჟამად ოზურგეთის თეატრში იმყოფებიან სპექტაკლის შესარჩევად. მათ უკვე მოიარეს ბათუმი და თელავი. რუსთავის თეატრის დასი „ოქროს ნიღაბზე" ორი ახალი სპექტაკლით წარდგება. მზადდება ლევან წულაძის „კვაჭი კვაჭანტირაძე" და გოგა თავაძის „საღამოს ბაღში, ისე როგორც ფერად სიზმარში", — განაცხადა მაია ტაბაღუამ. მისივე თქმით, ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ თეატრალური დასები ისრაელიდან, გერმანიიდან და თურქეთიდან.**

**„ოქროს ნიღაბი" წლების განმავლობაში რუსთავის ყოფილი მერის მერაბ ტყეშელაშვილის პატრონაჟით ტარდებოდა. ფესტივალთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფრის შეცვლას გეგმავს ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ნადაშვილი. „ოქროს ნიღაბს" რაც შეეხება, ყველაფერი ბიუჯეტშია გაწერილი და მე არა მაქვს უფლება, რომ რაიმე შევცვალო. ფესტივალების ჩატარების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ჩვენი მთავარი პრიორიტეტი მაინც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაა. რა თქმა უნდა, კულტურასაც მივხედავთ", — განაცხადა გუშინ ინტერპრესნიუსთან საუბრისას რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ნადაშვილმა.**

## სასამართლოს ობიექტურობისკენ მოუწოდებენ

**ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ჟურნალისტ თამაზ ბაკურიძის საქმის განხილვისას ობიექტურობის დაცვისკენ მოუწოდებენ.**

**გუშინ ჟურნალისტთა სახლში არასამთავრობო ორგანიზაციების „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კავშირის", „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრისა" და „დემოკრატთა კავშირის" ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლების ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა. აღნიშნული ორგანიზაციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის პრესმდივნის თამაზ ბაკურიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაზე მონიტორინგს აწარმოებდნენ.**

**როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის" თავმჯდომარემ დავით ლილუაშვილმა განაცხადა, ჟურნალისტ ბაკურიძის საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლომ არაობიექტურად განიხილა. მისი თქმით, საქმეში დაზარალებულად ცნობილმა იურიდიულმა პირებმა ბაკურიძის ბრალეულობა არ დაადასტურეს. შესაბამისად, ახალი ხელისუფლების პერიოდში საქართველოში თამაზ ბაკურიძის სახით კიდევ ერთი პოლიტპატიმარი არსებობს.**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექს-მეთაურ ასლან აბაშიძის პრესმდივანი, ამავდროულად აჭარის ტელერადიომაუწყებლობის ყოფილი თავმჯდომარე, ჟურნალისტი თამაზ ბაკურიძე 2004 წლის 8 აგვისტოს ბათუმში დააკავეს, როცა აჭარაში საერთაშორისო ორგანიზაცია „ევრაზია მედიაცენტრის" ბათუმის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით ჩავიდა. 11-თვიანი სასამართლო გამოძიების შემდეგ მას 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ ბაზარი

# „...მე ჩემი კალო უკვე გავლეწე, უმუშევარმა ახალგაზრდებმა რა ქნან?"



**დღევანდელი ყოფითი და ხშირად, გაუსაძლისი პირობების ფონზე გახშირდა თვითმკვლელობის, ახალშობილი ბავშვის ქუჩაში, ღვთის ანაბარად მიტოვების შემზარავი ფაქტები. როგორც ჩანს, ადამიანთა ერთი კატეგორია ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი შეხვდა საზოგადოებრივი წყობის ძირეულ სახეცვლილებას. ბევრს ჯერ კიდევ ვერ გაუთავისებია, რომ არქივს ჩაბარდა სოციალისტური მოდელი, რომ დღეს, უპირველესად, თვითონ უნდა იყოს საკუთარი თავის, ოჯახის დამცველი.**

— კი მაგრამ, როგორ, ცხოვრება მარტო მუშტი-კრივი ხომ არ არის, დაია? — მიპასუხა ხელით მოვაჭრე **დავით კობეშავიძემ.** ის და მეზობლად მოვაჭრე ქალბატონი გაჭირვებაზე, ერთმანეთის გაუტანლობაზე, უმუშევრობაზე საუბრობდნენ.

— სამსახური არც მე მაქვს და არც ჩემს მეუღლეს, ორი ბიჭი მყავს, ორივემ ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა. ერთმა ინგლისური ენაც კარგად იცის და კომპიუტერიც, მაგრამ, მერე რა, იცოდეს, სამუშაო მაინც არაფერია. ვის არ ვთხოვეთ, ვის არ მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ რომელ იდეალებზე შეიძლება საუბარი? ოჯახში ოთხი სრულწლოვანი ვართ და არც ერთი არ ვმუშაობთ, განა ეს მოსათმენია? ცოტაც და, მეც ალბათ თავს რაიმეს ავუტეხავდი, საბედნიეროდ, მეგობარმა მთხოვა, მაინც არ მუშაობ, მოდი ჩემთან, დადექი ბაზარში, პურის ფულს მაინც იშოვიო. ცოტა კი ვიყოყმანე, მაგრამ... დავთანხმდი. ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს ვაჭრობა და დახლთან დგომა ვიუკადრისე, არა, ჩემო ბატონო, მაგრამ 30 წელი პედაგოგი ვიყავი სკოლაში, ბოლოს სასწავლო ნაწილის გამგედაც დამნიშნეს, დღეს ჩემი ნამოწაფარებს რომ ვხედავ, ნამდვილად მრცხვენია, თითქოს ჩემი ბრალია, სკოლის ნაცვლად ბაზარში რომ ვდგავარ. ჯერ 53 წლის კაცი ვარ, კიდევ შემეძლო მუშაობა, მაგრამ ვინ დაგაცადა, ჩემი შემცვლელი თავზე ისე დამადგა, რომ არაფერი ვიცოდი, გული მწყდება, ჩემს საყვარელ საქმეს რომ მომაცილეს, თუმცა, მუშაობით ყოველთვის მისაბაძად მთვლიდნენ.

მე კარგი, ჯანდაბას, რაც არის, არის, ჩემი კუთვნილი კალო უკვე გავლეწე, ამ უმუშევარმა ახალგაზრდებმა რა ქნან? მარტო ჩემი შვილები კი არ არიან ამ დღეში, ჩვენს ოთხსადარბაზოიან სახლში თითზე ჩამოსათვლელი თუ მუშაობს, ყველა ამერიკაში და ინგლისში სწავლამიღებული ხომ არ იქნება?

არ ვიცი, შეიძლება, ვცდები, მაგრამ ნუთუ ხელისუფლებას, მთავრობას მეტი არ მოეთხოვება? თვითონ ხომ კარგი ხელფასები დაინიშნეს, ჩვენზე რატომ არ ფიქრობენ? გუშინ კინაღამ გადავედი ჭკუიდან, ენერგოსისტემას მუდამ აკრიტიკებენ, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის (სემეკს რომ ეძახიან) თავმჯდომარეს კი თვეში 12 ათასი ლარი ჰქონია, კომისიის წევრებს — 10-10 ათასი ლარი. ასეთს რას აკეთებენ? სირცხვილი არ არის? კი, ბატონო, ჰქონდეთ, თუ საჭიროა, მაგრამ, მაშინ ჩვენ 120 ლარი მაინც არ უნდა გვქონდეს თვეში შემოსავალი?

ახლა არ იკითხავთ, ვინ მუშაობს ამ კომისიაში?

მაია ნადირაძის ძმა და მისი შვილი, ელენე თევდორაძის ვაჟი, ცქიტიშვილის ახლობელი და კიდევ ვინ იცის — ვინ. მთავრობას ჰგონია, ალბათ, ხალხი ისე დაჩლუნგდა, ცოტა და ბევრი, კარგი და ცუდი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიაო, მაგრამ მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე. თუ ჭკუას არ მოეგებიან, რევოლუციების გამოცდილება ნამდვილად გვაქვს...

**— რა, იმუქრებით?**

— მუქარა რა შუაშია, სხვა გამოსავალს აღარ გვიტოვებენ!

**ბიჭიკო და ციალა სადღობელაშვილებს** რკინიგზის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე შევხვდი. აქ, როგორც ჩანს, სახელდახელო ბაზარია, კახეთიდან და ქვემო ქართლიდან ჩამოსული სამარშრუტო ტაქსების ბოლო გაჩერებაა და ვაჭრებიც ცდილობენ, აქვე მოეწყონ, არსად — დახლი და საკონტროლო სასწორი, მაცივარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ყველი პირდაპირ მიწაზე გაშლილ გაზეთზე დაეწყო ერთ ქალს, მიწაზე აწყვია ყველანაირი პროდუქცია, გამყიდველები მთელი დღე ფეხზე დგანან, ან ყუთზე თუ ჩამოჯდებიან, ყველგან ენით აუწერელი ანტისანიტარიაა. ნაგავი, ეტყობა, აქედან არავის გააქვს.

— ერთი კვირა ურიკით დავატარებდით ბოსტნეულს და ისე ვყიდეთ, გვეშინოდა, არ გვეზარალა! — თქვა ქალბატონმა ციალამ, — დღეს ძალიან ცხელა, ამიტომ აქ დავრჩით. კახეთში დავდივართ და იქიდან ჩამოგვაქვს ახალი მოსავალი. თუ ხიდის ქვეშ მოვხვდით, ხომ კარგი, აქ ჩრდილია, თუ არა და უცეცხლოდ ვიწვით.

**— გადასახადს იხდით?**

— მუქთად ვინ გაგაჩერებს! დღეში ორჯერ მაინც ჩამოივლიან და წაიღებენ, რა ვქნათ, შორს წასვლას, ისევ აქ გვირჩევნია, სოფელში მოხუცი დედა და ორი შვილი დავტოვეთ, ჩვენ კი ქირით ვართ, რასაც ვშოულობთ, იმათაც ვუგზავნით...

83 წლის **ეფროსინე სიხარულიძე** ჩოხატაურიდან ჩამოსულა და საკუთარ ეზოში დაკრეფილ წყავს სთავაზობდა კლიენტებს, ...იყიდეთ, ნენა, ეს ხილი, გასინჯეთ, ნახეთ რა გემრიელია, გურიის გარდა არსად ხარობს, ჯანმრთელობას შეგმატებთ... დაუზარებლად ჩიფჩიფებდა მოხუცი.

**მე პირადად ამ ნაყოფმა საკუთარი ბავშვობა გამახსენა. ბებიაჩემიც, ზუსტად ამ მოხუცივით გვთხოვდა შვილიშვილებს, უმმოზე წყავს თუ შეჭამთ, ჯანმრთელები და კუნთმაგრები იქნებითო... იმ მოგონების ეშხით მოხუცს ორი კილო წყავი უსიტყვოდ ავაწონინე. ჩემს შემდეგ ერთმა მანდილოსანმაც იყიდა. თითქოს რაღაც ძალიან გამიხარდა და ბაზარი სწრაფად დავტოვე.**

**ნაზი იმნაიშვილი**

### სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასი (ლარებში) ცენტრალურ სუპერმარკეტში 2005 წლის 9 აგვისტოსათვის

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი საქონლის | — 4-4,50 | კიტრი | — 0,30-1,50 |
| ხორცი ცხვრის | — 4-5 | კომბოსტო | — 0,30-0,50 |
| ხორცი ღორის | — 6-7 | პამიდორი | — 0,40-2 |
| ყველი თუშური | — 13-15 | საზამთრო | — 0,10-0,20 |
| ყველი იმერული | — 4-4,50 | ნესვი | — 0,60-0,80 |
| ყველი სულუგუნი | — 5,50-6 | ძველი ვაშლი | — 2 |
| ქათამი სოფლის | — 9-12 | ახალი ვაშლი | — 0,80 |
| ქათამი ფაბრიკის | — 5-10 | მსხალი | — 0,60-2 |
| კვერცხი სოფლის | — 0,20 | ატამი | — 0,40-1 |
| კვერცხი ფაბრიკის | — 0,18 | ტყემალი | — 0,30-0,50 |
| კარტოფილი | — 0,35-0,50 | ქლიავი | — 0,50-1 |
| ჭარხალი | — 0,80-1,50 | ნიგოზი | — 10-12. |
| სტაფილო | — 0,70-2 | | |

◉ რაგბი

# თასი „ლოკომოტივმა“ დაისაკუთრა

**გასულ კვირას მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მორაგბეთა საქართველოს თასის გათამაშების ფინალური მატჩი გაიმართა – შარშანდელი ჩემპიონი „ლელო“ და თასის მფლობელი „ლოკომოტივი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მოლოდინისამებრ, ორთაბრძოლა დაძაბული და საინტერესო გამოდგა.**

შეხვედრა ჩემპიონთა იერიშებით დაიწყო და მე-8 წუთზე ყიასაშვილმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა – 3:0, რამაც რკინიგზელები გამოაფხიზლა. აგვისტოს ხვატისა და ბუღის მიუხედავად, მორაგბეებს ძალღონე არ დაუზოგავთ წარმატების მისაღწევად. ლოკომოტიველმა კვინიხიძემ 12 წუთის განმავლობაში ზედიზედ ორი საჯარიმოთი თავის გუნდი დააწინაურა, მაგრამ ტაიმის მიწურულს ყიასაშვილმა წონასწორობა აღადგინა.

შესვენების შემდეგ „ლელომ“ რიხით განაახლა შეტევები, თუმცა, მხოლოდ ერთადერთ ჯარიმას გამორჩა (კვირიკაშვილი). ლევან მაისაშვილის შეგირდებმა საფინალო სასტვენამდე მეტი ვერაფერი შეძლეს, სამაგიეროდ, „ლოკომოტივმა“ მოუმატა სისწრაფეს და სასურველ შედეგსაც მიაღწია: ჯერ კვინიხიძემ გაათანაბრა ანგარიში, 57-ე წუთზე კი რკინიგზელთა იერიში სუთიაშვილმა ლელოთი დააგვირგვინა. პაექრობის ბოლო ორ წუთში მაისურაძემ და ზ. კობერიძემ მეტოქეს კიდევ ორი ლელო გაუტანეს. „ლოკომოტივმა“ (გიორგი ასათიანი, სანდრო გილაური, გიორგი კობერიძე, კახა ალანია, ლექსო გუგავა, ბობა კვინიხიძე, დავით გასვიანი, გიორგი ჯოხია, გიორგი ქლენტი, ნიკა მხეიძე, გიორგი კახიანი, შალვა სუთიაშვილი, ზვიად მაისურაძე, ბექა ქესაშვილი, ბიძინა სამხარაძე, შოთა მელიქიძე, დავით ქლენტი, მიხეილ წეველიძე, ბესო ქარაბაკი, ირაკლი ღვინჯილია, ზვიად კობერიძე, გიგა ნიშნიანიძე, მწვრთნელი – თემურ ბენდიაშვილი) გაიმარჯვა 24:9 და საქართველოს თასი მეოთხედ დაიმსახურა, მათ შორის – სამჯერ ზედიზედ (2003 წელს ბათუმის „დათვებს“ სძლია, შარშან კი „ყოჩები“ დაამარცხა).

მატჩის საუკეთესო მოთამაშეები – შალვა სუთიაშვილი („ლოკომოტივი“) და რევაზ ბელქანია („ლელო“) საქართველოს რაგბის კავშირმა ფერადი ტელევიზორებით დააჯილდოვა.

**ლექსო ცინცაძე**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**





◉ ჭადრაკი



# ბოლო ტურის სიურპრიზები

**გეტებორგში დამთავრდა ევროპის მოჭადრაკე ქალვაჟთა გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებას მიაღწია საქართველოს ქალთა ნაკრებმა – 14 ქულით მან მეორე ადგილი დაიკავა. არადა, ბოლოსწინა სამ ტურში ისე წარიმართა მოვლენები, ჩემპიონობის შანსიც გაგვიჩნდა.**

ჩვენმა ქალებმა (მაია ჩიბურდანიძე, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე, ქეთევან არახამია-გრანტი, კაპიტანი – ნინო გურიელი) VI ტურში უნგრელებს სძლიეს 2,5:1,5, შემდეგ ასეთივე ანგარიშით რუმინელები და რუსები დაამარცხეს. კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიც თითქმის ხელის გაწვდენაზე იყო, წილისყრამაც გაგვიმართლა, მაგრამ ბერძნების გუნდთან, რომელთა სამი წევრის რეიტინგი 2300-საც ვერ აღწევს, საბოლოოდ ფრე სანატრელი გაგვიხდა. გათამაშების ცხრილის ერთპიროვნული ლიდერები – პოლონელებიც სომხებს დაუზავდნენ, მოაგროვეს 15 ქულა და ჩემპიონობაც მოიპოვეს. ჩვენები გამარჯვებულებს ქულით ჩამორჩნენ. 12 ქულით მესამე ადგილზე რუსები გავიდნენ.

ბოლო ტურის წინ მედლის რეალური კანდიდატი იყო საქართველოს ვაჟთა ნაკრებიც (ზურაბ აზმაიფარაშვილი, ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი, ლაშა ჯანჯღავა), რომელმაც ზედიზედ სძლია ჩეხეთს (3:1), უკრაინას (2,5:1,5), ისრაელს (2,5:1,5) და რვა ტურის შემდეგ 12 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფდა. მე-9 ტურში აქაც მეტოქედ ბერძნები გვყავდა. წარმატების შემთხვევაში ბრინჯაოს მედალი განაღდებული გვექნებოდა, მაგრამ ჩვენებმა ქულით დათმეს პაექრობა (აზმაიფარაშვილი, ჯობავა და მჭედლიშვილი, შესაბამისად, ბასილიოს კოტრონიასს, იოანის პაპაიოანუს და დიმიტრიოს მასტრობასილისს დაუზავდნენ, ხოლო ფანცულაია, რომელმაც წინა ტურში ემილ სუტოვსკის სძლია, ხრისტოს ბანიკასთან დამარცხდა) და საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავიდნენ. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. ჰოლანდია – 15, 2. ისრაელი – 14, 3. საფრანგეთი – 13 ქულა.

**ვაჟა დანელია**

◉ ჭიდაობა

# „კლასიკოსები“ „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ



**უკვე გაუწყეთ, რომ პოლონეთის ქალაქ ვროცლავის ხალიჩაზე თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობა მოიგეს მალხაზ ქურდიანმა (55 კგ.) და გიორგი ნიკურაძემ (მძიმე წონა), მეორე ადგილებზე გავიდნენ მალხაზ ზარქუა (60 კგ.) და ნიკოლოზ გაგნიძე (84 კგ.).**

შაბათ-კვირას სარბიელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს დაეთმოთ. სამწუხაროდ, კვარცხლბეკისკენ მხოლოდ გიორგი გვენეტაძემ (55 კგ.) გაიკაფა გზა. მან ზედიზედ სძლია აზერბაიჯანელ ქარიმოვს (4:0) და გერმანელ კრუსიუსს (4:0), მაგრამ ნახევარფინალში რუსეთელ მაქსიმ მორდოვინთან დამარცხდა (1:4), ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში კი ბულგარელი რადოსლავ პალჩევი დაჯაბნა (3:1).

დანარჩენი ჩვენი „კლასიკოსები“ საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდნენ.

◉ ფეხბურთი

# სტარტზევე – იძულებითი „არდადეგები“

**საქართველოს ფეხბურთელთა მე-17 ეროვნული ჩემპიონატი ეს-ეს არის დაიწყო, ამიტომ ჯერჯერობით გაურკვეველია გუნდების ფიზიკური კონდიციები თუ პოტენციური შესაძლებლობანი, აქედან გამომდინარე, ძნელია გამოიცნო, რომელი შეხვედრა იქნება ტურის ცენტრალური მატჩი. შარშანდელი შედეგების გათვალისწინებით, მე-2 ტურში ასეთად თბილისის „დინამოს“ და „თბილისის“ ორთაბრძოლა მივიჩნიეთ, მაგრამ იმედები არ გამართლდა. არც არის გასაკვირი – „თბილისი“ ხომ რამდენიმე გამოცდილმა ფეხბურთელმა დატოვა, ამიტომ ახლად შეკრულ გუნდს უჭირს მეტოქეებისთვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. ასე იყო კვირას ეროვნულ სტადიონზეც.**

დინამოელებმა პირველსავე წუთზე ელვისებური კომბინაცია გაითამაშეს და ოდიკაძის ზუსტი პასის შემდეგ მეგრელაძეს ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია. ამ ტანდეგმა მე-6, 24-ე და 43-ე წუთებზეც დაამახსოვრა გულშემატკივრებს თავი, თუმცა, მეგრელაძემ სამივე შემთხვევაში ხელიდან გაუშვა კარის აღების რეალური შანსი. პირველ ტაიმში დინამოელ მელქაძესაც შეეძლო ეყოჩაღა, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმის შემდეგ თბილისელები ძელმა იხსნა.

„სტუმრები“, რომლებსაც პირველი 45 წუთის განმავლობაში ხეირიანად არც შეუტევიათ ზოიძის კარისთვის, შესვენების შემდეგ გამოცოცხლდნენ, მაგრამ თამაში უფრო მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და მოუმზადებელი იერიშები ორივე მხარის საჯარიმოების მისადგომებთან იფუშებოდა. 81-ე წუთზე მეტოქეებს კიდევ ერთხელ შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ ივარგეს. მატჩი დამთავრდა 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

კვლავ იყოჩაღა ჟურნალისტთა გუნდმა „ამერმა“, რომელმაც შინ „ზესტაფონს“ სძლია 2:0. გაუწყებთ მე-2 ტურის დანარჩენი შეხვედრების ანგარიშებს: „ცხინვალი“ – „კახეთი“ 0:*1, „ვიტ ჯორჯია“ – „დინამო“ (ს) 2:2, „ბორჯომი“ – „კოლხეთი“ 1:0*, „სპარტაკი“ – „დინამო“ (ბთ) 0:0, „სიონი“ – „დილა“ 2:0, „ტორპედო“ – „ლოკომოტივი“ 0:0.

ამდენად, 2 ტურის შემდეგ თბილისის „დინამო“ და „ამერი“ 6-6 ქულით ლიდერობენ. „სიონი“ და ბათუმელები 4-4 ქულით III-IV ადგილებს ინაწილებენ.

ახლა ეროვნულ ჩემპიონატში 10-დღიანი შესვენებაა, რადგან 17 აგვისტოს საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სტუმრად ყაზახეთის გუნდს ეთამაშება.



* * *

**გუშინ** „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს და აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა – 1:0.

**გიორგი გაგუა**

◉ სფფ

# ნაკრების მთავარი მწვრთნელი და შემადგენლობა დაასახელეს

**საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს 17 აგვისტოს ყაზახეთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი აქვს გასამართავი. არადა, გუშინდლამდე უცნობი იყო მთავარი მწვრთნელის ვინაობა და ნაკრების შემადგენლობა.**

მოგეხსენებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი 3 დღის წინათ დაბრუნდა საზღვარგარეთული მივლინებიდან და გუშინ სფფ-ს აღმასკომის სხდომა გამართა. ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად გაიოზ დარსაძე დაინიშნა, მეკარეთა მწვრთნელად – მამუკა აბუსერიძე, ყაზახებთან სათამაშოდ კი შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახეს: მეკარეები – ზვიად სტურუა და გიორგი ლომაია, მცველები – ზურაბ ხიზანიშვილი, კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ლევან კობიაშვილი, ლაშა სალუქვაძე, კახა ალადაშვილი, შალვა ღონღაძე, ნახევარმცველები – ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ჯაბა კანკავა, გოგა გახოკიძე, გიორგი განუგრავა, კახა ჩხეტიანი, დავით ოდიკაძე, თავდამსხმელები – დავით მუჯირი, ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე და ლადო ახალაია.

შეგახსენებთ, რომ 9 ტურის შემდეგ მეორე ევროპულ ჯგუფში 23 ქულით უკრაინელები ლიდერობენ. 16 ქულით მეორე ადგილზეა თურქეთის ნაკრები, ევროპის ჩემპიონებს ბერძნებს ქულით ნაკლები აქვთ. 12 ქულა მოაგროვეს მეოთხე ადგილზე მყოფმა დანიელებმა. შემდეგ მოდიან – ალბანელები – 9 ქულა, ქართველები – 5 და ყაზახები – 0 ქულა. ოღონდ, საქართველოს და მის ახლანდელ მეტოქეს 7-7 მატჩი აქვთ გამართული, დანიელებს – რვა, დანარჩენებს კი – 9. უქულო ყაზახები დანაკლისის ანაზღაურებას ჩვენი ნაკრების ხარჯზე აპირებენ. ვნახოთ.

◉ კალათბურთი



# ექსიუგებმა დაგვამუხრუჭეს

**ბულგარეთში გრძელდება კადეტ კალათბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირი.** მეორე ეტაპზე ჩვენმა ნაკრებმა კიდევ ორი გამარჯვება იზეიმა. ჯერ სლოვაკეთს მოუგო დიდი ანგარიშით – 91:66, შემდეგ კი ესტონელებს სძლია – 82:72, თუმცა, ბალტიისპირელებთან მატჩის მეორე მეოთხედი ჩვენებმა 11 ქულით (20:31) დათმეს. ეს, ერთგვარად, გამაფრთხილებელი ნიშანი იყო საქართველოს გუნდისთვის, რასაც, ეტყობა, ყურადღება არ მიაქციეს მწვრთნელებმა, რადგან ნახევარფინალში თამაში, ფაქტობრივად, განაღდებული ჰქონდათ, ამიტომაც დაისაჯნენ ბოსნიელებთან შეხვედრისას – ექსიუგებმა მოგვიგეს 84:79 (14:23, 22:13, 23:26, 25:17) და ჯგუფში მეორე ადგილზე გავედით. ნახევარფინალში გერმანელებს შევხვდებით. პირველადგილოსანი ბოსნიელები პორტუგალიელებს ეთამაშებიან. წარმატების შემთხვევაში A ჯგუფის საგზურს დავისაკუთრებთ.

# იტალიამ გაკვეთილი ჩაგვიტარა

**საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის (B ჯგუფი) მოსამზადებლად იტალიის სამთო-სათხილამურო ცენტრ ბორმიოს ეწვია. ზამთრის სპორტის წარმომადგენელთა გარდა, კალათბურთელებიც ყოფილან აქაურობის ხშირი სტუმრები. მარტო წლეულს მოსავალი სეზონისთვის ბორმიოში 6 ეროვნული ნაკრები ვარჯიშობს. ჩვენებთან ერთად აქ არიან თვით იტალიელები, ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორები, ასევე, თურქები, ბულგარელები, შვეიცარიელები და ცენტრალური აფრიკის ნაკრები.**

ობიექტური მიზეზების გამო აპენინებზე ჯერ არ ჩასულან ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი და შემონდ უილიამსი. ეს, ცხადია, გუნდისთვის დიდი დანაკლისია. ქართველთა დამრიგებელმა გორდონ ჰერბერტმა ულიდერებოდ დარჩენილი შეგირდები იტალიელებს შეაჯიბრა ამხანაგურ მატჩში. „სკუადრა აძურამ“ დიდი ანგარიშით – 112:48 მოიგო.

◉ ფარიკაობა

# კარამანმა უმასპინძლა

**თურქეთის ქალაქ კარამანში გაიმართა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში 6 ქვეყნის 40 წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის ხუთი – საქართველოდან.**

საგულისხმოა, რომ მუშკეტერები მხოლოდ დაშნით ფარიკაობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კარგად იასპარეზა ქუთაისელმა დავით არველაძემ (მწვრთნელი თამაზ ოყროშიძე), რომელმაც რამდენიმე უხერხული მეტოქე ჩამოიცილა გზიდან, მაგრამ ნახევარფინალში მასპინძელთა გუნდის ლიდერთან აკდენიზთან დამარცხდა, ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა რუმინელი ემანუელ რობეტი, რომელმაც მცირე უპირატესობით თურქს სძლია.

საქართველოს გუნდის წევრები – ანზორ ალბრეხტი და დავით ელბაქიძე, შესაბამისად, VII-VIII ადგილებზე გავიდნენ.

◉ ჩემპიონთა ლიგა

# მესამე რაუნდი

**ევროპის სტადიონები დღეს და ხვალ ფეხბურთელთა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ ორთაბრძოლებს უმასპინძლებს. გრანდებთან თამაშის უფლების მოსაპოვებლად 32 გუნდი შეეცილება ერთმანეთს: „ბაზელი“ (შვეიცარია)– „ვერდერი“ (გერმანია), „პეტრჟალკა“ (სლოვაკეთი) – „პარტიზანი“ (სერბეთი), შახტიორი“ (უკრაინა) – „ინტერი “ (იტალია), „სტიაუა“ (რუმინეთი) – „რუსენბორგი“ (ნორვეგია), „მანჩესტერი“ (ინგლისი) – „ჰაიდუკი“ (ხორვატეთი), „მალმიო“ (შვედეთი) – „ტუნი“ (შვეიცარია), „ევერტონი“ (ინგლისი) – „ვილიარეალი“ (ესპანეთი), „ლივერპული“ (ინგლისი) – ცსკა (ბულგარეთი), „სპორტინგი“ (პორტუგალია) – „უდინეზე“ (იტალია), „ვოლერენგა“ (ნორვეგია) – „ბრიუგე“ (ბელგია), „რაპიდი“ (ავსტრია) – „ლოკომოტივი“ (რუსეთი), „ანდერლეხტი“ (ბელგია) – „სლავია“ (ჩეხეთი), „ანართოსისი“ (კვიპროსი) – „რეინჯერსი“ (შოტლანდია), „ბრონდბიუ“ (დანია) – „აიაქსი“ (ჰოლანდია), „ბეტისი“ (ესპანეთი) – „მონაკო“ (საფრანგეთი), „ვისლა“ (პოლონეთი) – „პანათანიაკოსი“ (საბერძნეთი).**

განმეორებითი შეხვედრები 23-24 აგვისტოს გაიმართება.

◉ ინტერტოტოს თასი

# უეფას 3 საგზურისთვის

**გაიმართა ინტერტოტოს თასის გათამაშების ნახევარფინალური ორთაბრძოლების განმეორებითი მატჩები: „ლანსი“ (საფრანგეთი) – „ვოლფსბურგი“ (გერმანია) 4:0 (0:0), „კლუჟი“ (რუმინეთი) – „ჟალგირისი“ (ლიტვა) 5:1 (2:1), „როდა“ (ჰოლანდია) – „ვალენსია“ (ესპანეთი) 0:0 (0:4), „ჰამბურგი“ (გერმანია) – „სიგმა“ (ჩეხეთი) 3:0 (1:0), „ნიუკასლი“ (ინგლისი) – „დეპორტივო“ (ესპანეთი) 1:2 (1:2), „მარსელი“ (საფრანგეთი) – „ლაციო“ (იტალია) 3:0 (1:1).**

ფინალში ითამაშებენ: „ჰამბურგი“ – „ვალენსია“, „კლუჟი“ – „ლანსი“, „დეპორტივო“ – „მარსელი“. შეხვედრები 9 და 23 აგვისტოს გაიმართება. გამარჯვებულები უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმებიან.

◉ მძლეოსნობა

# ეთიოპიური კვარცხლბეკი

**ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში ჩვენი პლანეტის „სპორტის დედოფლის“ დიდი დათვალიერებაა – მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში.**

შეიძლება ითქვას, რომ იქაურ სპორტულ მოედნებზე შეკრებილი გულშემატკივრები და ტელევიზიის მაყურებლებიც, ალბათ, ჩვენც, ბევრი ბრწყინვალე წარმატების მომსწრენი გავხდებით. ამაზე თანდათან შეგატყობინებთ, ახლა კი ერთ-ერთ მათგანზე მოგახსენებთ. აფრიკელები რომ განსაკუთრებით გამოირჩევიან სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც გრძელ მანძილებზე სირბილია – ეს კარგად არის ცნობილი. თუმცა ბოლო ხანებში ბევრმა ევროპელმაც გამოიჩინა თავი. მაგალითად, დიდ ბრიტანელმა პოლა რედკლიფმა, მაგრამ რაც ახლა ჰელსინკში 10000 მეტრზე ქალთა სირბილში მოხდა, ნამდვილად აღნიშვნის ღირსია:

სტარტზე წინ სწორედ პოლა რედკლიფი გაიჭრა, შემდეგ თანდათან ჩამოყალიბდა 11-მორბენალიანი მეწინავეთა ჯგუფი, ერთხან ლიდერთა შორის რუსეთელი გალინა ბოგომოლოვაც იყო, მაგრამ როდესაც ფინიშამდე ერთი წრეღა დარჩა, წინ „გაფრინდა“ ეთიოპიური სამეული, რომელსაც ველარავინ წამოეწია. მათ გამარჯვების კვარცხლბეკი ასეთი შემადგენლობით დაიკავეს: ტირუნეშ დიბაბა – 30.24.02. ბერჰანე ადერე – 30.25.41. და ეიჯაიეხუ დიბაბა – 30.26.00.

**სურათზე: ეთიოპიური სამეული.**



◉ სპორტულ ორბიტაზე



## ისინბაევა – უფროსი ლეიტენანტი

**სახელოვანი რუსეთელი ჭოკით მხტომელი ქალი ელენა ისინბაევა, რომელსაც 17 მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის, თავისებურად წაახალისა რუსეთის სარკინიგზო ჯარების სარდლობამ. ელენა ხომ ამ ჯარების სპორტული კლუბის წევრია.**

როგორც სარკინიგზო ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა გრიგორი კოგატკომ განაცხადა, ელენას ჯერ უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს, შემდეგ რიგგარეშედ – ლეიტენანტის, ახლა კი უფროსი ლეიტენანტის წოდებაზე წარადგინეს.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენმა, როგორც ჩანს, დაიმსახურა ასეთი წახალისება.

## პრეზიდენტობა მოისურვა

**პრინცესა ეია არაბული აღმოსავლეთის პირველი ქალი წარმომადგენელი იყო, ვინც ოლიმპიურ თამაშებში (სიდნეი – 2000) მონაწილეობდა.**

ახლა ოლიმპიელმა პრინცესამ, იორდანიის მეფის აბდალაჰა მეორის გერმა და, დუბაის მემკვიდრე პრინცის მოჰამედ ბენ რაშიდ ალ-მაქთუმის ცოლმა, თავისი კანდიდატურა წამოაყენა საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე.

## „არასპორტული“ რეკორდი

**მხოლოდ 7 წამი დასჭირდა ჩუნცინის ტექნოლოგიური ინსტიტუტის 22 წლის სტუდენტს ცზო იანს, რათა „გვალვა დაეყენებინა“ ლუდის ერთლიტრიან კათხაში, – იტყობინება ჩინური გაზეთი „ჩაინა დეილი“.**

ასეთ სისწრაფეს არ ელოდებოდა ლუდის ჩქაროსნულ სმაში ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში მოწყობილი უჩვეულო კონკურსის არც ერთი მონაწილე. თუ ორგანიზატორი. ლუდის სპრინტში ცზომ ხომ ოცდაათი ცნობილი და ძალზე გამოცდილი მეტოქე დაამარცხა, რითაც სახელი მარტო ინსტიტუტში კი არა, მთელს ქალაქში გაითქვა.

მთავარი პრიზი – 10 ათასი იუანი (დაახლოებით 1,2 ათასი დოლარი) უეჭველად კარგი დანამატი იქნება მოკრძალებულ სტუდენტურ სტიპენდიაზე. თუმცა ცნობილი არ არის, სწავლაშიც გამოირჩევა თუ არა იგი.

კონკურსის ორგანიზატორებს უყურადღებოდ არც „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები დაუტოვებიათ. ქალაქ ლინშუის მცხოვრებს ჩენ ლანს 13 წამი დასჭირდა გამარჯვების მოსაპოვებლად. ალბათ, მომავალში უკეთესი შედეგები ექნება – ქალიშვილი ხომ ჯერ 18 წლისაა! მანაც თავისი „გმირობისთვის“ 10 ათასი იუანი დაიმსახურა.

## უჩვეულო რბოლა

**ამომავალი მზის ქვეყანაში – იაპონიაში „სუძუკის“ სახელგანთქმულ ავტოდრომზე მოეწყო საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის თასზე ფინალური რბოლა იმ ავტომანქანებისთვის, ალტერნატიულ ენერგომატარებლებს რომ იყენებენ. მზის ბატარეებით აღჭურვილმა ავტომანქანებმა ტრასაზე 8 საათს დაჰყვეს და 100 წრე დაარტყეს, რამაც 589 კილომეტრი შეადგინა.**

პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს უნივერსიტეტის Ashiya და ქალაქ ოსკას უნივერსიტეტის იაპონელი სპეციალისტების მიერ შემუშავებულმა მანქანებმა, მესამე ადგილი კი – ავსტრალიის საავტომობილო ასოციაციაში შექმნილმა კონსტრუქციამ.

რბოლაში გამარჯვებულმა 103 წრე 8.04.20.352 საათში გაიარა, ე. ი. მისი მანქანა საშუალოდ საათში 75,8 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა.



## ფული და ტკბილი ცხოვრება

**სერბი სუპერმოდელი ტატიანა დრაგოვიჩი თავის ბოიფრენდთან გორან ივანიშევიჩთან და ორი წლის ქალიშვილთან ერთად 2003 წლის შემდეგ პირველად ისვენებს ზღვაზე. მას მერე, რაც ხორვატმა ჩოგბურთელმა კარიერა დაასრულა, ფინანსური საქმეებიც უკუღმა წაუვიდა. ამიტომაც ისინი სულ კინკლაობდნენ. ერთხანად ფულის საშოვნელად ივანიშევიჩმა ფეხბურთელობაც კი დააპირა.**

თუმცა ისინი მაშინაც დავობდნენ, როცა ჩოგბურთელი დიდების მწვერვალზე იყო, რადგან დრაგოვიჩი უიმბლდონის გმირის ყოველ ნორჩ თაყვანისმცემელზე ეჭვიანობდა და მათ შორის შავმა კატამაც გაირბინა.

ახლა კი, თუმცა დიდება უკან დარჩა, ივანიშევიჩს ფული გაუჩნდა და ისინი ისევ დამეგობრდნენ.



ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ჩოხოსანთა კავშირის წევრები. გადაღებულია 1991 წელს ბუკა ნაკაიძის საფლავთან.
მოგვაწოდა მურმან გოგიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

***ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.***

საეკლესიო კალენდარი

# მკურნალი და დიდმოწამე

## დღეს, 9 აგვისტოს ქართული სამოციქულო ეკლესიაც იხსენიებს წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალს



რომის იმპერიაში, მაქსიმიანეს მეფობის წლებში (305-311), რომელიც სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს, მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონი (რაც ქართულად ყოვლად მოწყალეს ნიშნავს).

პანტელეონი (ბავშვობისას ასე ეძახდნენ, რაც ქართულად „ყოვლად ლომს" ნიშნავს) დაიბადა ცნობილსა და მდიდარ ოჯახში. დედა ქრისტიანი იყო, მამა კერპთაყვანისმცემელი, გრამატიკული სკოლის დამთავრების შემდეგ, მამამ იგი სამედიცინო სასწავლებელში მიაბარა. ჭაბუკმა საოცარი ნიჭიერება გამოამჟღავნა. ამასთან ერთად გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით, სილამაზით. ერთი მოხუცი მღვდლის რჩევით, პანტელეიმონმა ირწმუნა, რომ ყოველგვარი სნეულების განკურნვა შეეძლო იესო ქრისტეს, რომ ღმერთი ადამიანებს ბოროტი სულის ტყვეობისგან ათავისუფლებდა.

პანტელეიმონმა მრავალი ავადმყოფი განკურნა. ღმერთმა უბოძა მას ეს ნიჭი. მეფემ ბევრჯერ სცადა მისი მოკვლა, მაგრამ წმინდანს ყოველთვის გამოეცხადებოდა უფალი და უვნებელი რჩებოდა ხოლმე. ერთხელაც განრისხებულმა მეფემ ბრძანა, მისთვის თავი მოეკვეთათ, ხოლო ტანი ზეთისხილის ხეზე მიებათ და ცეცხლი წაეკიდებინათ. მეომრებმა იგი ქალაქგარეთ გაიყვანეს. ჭაბუკი ლოცულობდა, ჯალათმა მას მახვილი დაჰკრა, მაგრამ რკინა ცვილივით გაიღუნა. ლოცვისას მას ზეციდან ხმა მოესმა – პანტელეიმონ!

მეომრებმა კვლავ დაჰკრეს მახვილი, მაგრამ სისხლის ნაცვლად რძე წარმოდინდა, ხოლო ზეთისხილის ხე ძირიდან წვერომდე დაიხუნძლა. მეფემ ბრძანა, ზეთისხილის ხე დაეჩეხათ და ჭაბუკის ტანთან ერთად დაეწვათ.

როცა ცეცხლი ჩაქრა, მორწმუნეებმა ცეცხლიდან წმიდა პანტელეიმონის ცხედარი უვნებლად გამოიტანეს და პატივით დაკრძალეს.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ.**

საზღვარი

# დააკავეს საზღვრის დამრღვევები

**საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო დარღვევის ფაქტზე ქართველმა მესაზღვრეებმა რამდენიმე მოქალაქე დააკავეს.**

**როგორც ინტერპრესნიუსს სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, თბილისის აეროპორტში, „თბილისი-დონეცკის" რეისზე მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. შემდგომი რეაგირებისთვის იგი ისანი-სამგორის პოლიციას გადაეცა.**

**გარდა ამისა, რეგიონული სამმართველო „ყაზბეგის" სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „დარიალში", რუსეთის ფედერაციის მიმართულებით გასვლის მცდელობისას, დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც პასპორტში სურათის გაყალბების ნიშნები აღენიშნებოდა.**

**საქართველოდან ყალბი პასპორტით გასვლის მცდელობისას კი მესაზღვრეებმა ერთ-ერთი მოქალაქე „ახალციხის" სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „ვალეს" საგუშაგოზე დააკავეს. საქმე შემდგომი რეაგირებისთვის ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოს გადაეცა.**

**ინტერპრესნიუსი**

თითქმის ნატურიდან

# მოქეიფე

გიგა კორინთელი ძველი თბილისელია. როგორც თვითონ ტრაბახობს, კომუნისტების მმართველობის წლებში იმდენი უქეიფია და დრო უტარებია, რომ დღეს ზოგს სიზმრადაც არ მოელანდება. ალბათ, ამიტომაც წარამარა უკან იყურება, გუშინდელს ესიყვარულება.

– გახსოვს, ბიჭო, – ეუბნება ძმაკაცს, – ქალაქში რა ტუალეტები გვქონდა? თანაც მუქთა, მთელ დღეს რომ მჯდარიყავი, კაპიკს არ გადაიხდიდი.

– შენცა ხარ რა, ამ სიცხეში ლუდი რომ გაგხსენებოდა, კიდევ ჰო, ტუალეტი რა პონტია?

– სწორედ ლუდთან დაკავშირებით გამახსენდა, სიმონ, რამდენიც გინდა გესვა, ქუჩაში გასვლისა არ გეშინოდა – ორ ნაბიჯს გადადგამდი და ტუალეტი შემოგცინებდა. აფსუს, რა ტუალეტები გვქონდა?

– კარგი ერთი, – შეუღრინა ზურაბმა, – რა ტუალეტი აგიტყდა. იგი ყოველთვის ყარდა – მაშინაც და ახლაც.

– იი, ძველ ზღაპარს ყვები, რაც აღარ არის, რა აყროლდება?

– რა არ არის, ბიჭო, ტუალეტი?

– ჰო, ტუალეტზე გეუბნები, მთელი ქალაქის ქუჩები რომ მოიარო, წამლადაც ვერ იპოვი.

– რა, გაფრინდნენ? ეგეც კონტრაბანდა ხომ არ არის, რომ აკრძალონ?

– ნეტა კონტრაბანდა იყოს, სულ რიხინ-რიხინით შემოვზიდავდით.

– როგორ, ადგილობრივი წარმოება სულ გაჩერდა?

– წარმოება კი არ გაჩერდა, თავად ტუალეტი გაკოტრდა.

– გაგიჟდი, ძმაკაც, ტუალეტის გაკოტრება სად გაგონილა?

– ეგრეა და რა ვქნა... თავიდან 20-თეთრიან ტარიფზე რომ გადავიდნენ, ვითომ კარგად წავიდა საქმე, მაგრამ...

– მერე რაღა მოხდა?

– ისა რომა, უსახსრობიდან გამომდინარე, ხალხში მომჭირნეობის კულტურამ იმატა, ტუალეტებში კი – უშემოსავლობამ.




– და ისინი დაიხურა?

– არა, კაფებარებად და რესტორნებად გადაკეთდა.

– ვინ გადააკეთა?

– იმან, ვინც ტუალეტი შეისყიდა.

– არ არიან მართალნი, ძმაო, მაგათ ტუალეტისთვის პროფილის შეცვლის უფლება არ ჰქონდათ.

– ეს ვინ არი, ტო, პროფილი კი არა, გეუბნები, მთლიანად შინაარსი შეუცვალეს.

– აბა, ქუჩაში რომ მოვაჭრენი სხედან, ეგენი რომელი ტუალეტით სარგებლობენ?

– არც ერთით. მაგ საქმეს ზოგი საერთოდ გადაეჩვია, ზოგიც პამპერსზე გადავიდა.

– ხუმრობ, სიმონ?

– ჰო, ვხუმრობ, აბა, მიდი ვაკის პარკში, ფეშენებელური ტუალეტი კიდევ დაგვხდება?

– არ გადამრიო, ეგეც რესტორნად გადააკეთეს?

– მაშ რასა ვუბნობ.

– მაგრამ მაგ რესტორანს ტუალეტიც ხომ აქვს?

– მერე ვინ შეგიშვებს? რესტორანში კარგად თუ არ გამოთვერი, ტუალეტის გასაღებს არავინ მოგცემს.

– ტუალეტი რა, დაკეტილი აქვთ?

– მაშ როგორ, რომ არ დაკეტონ, ბაღში მსხდომნი რესტორანს ისევ ტუალეტად გადააქცევენ.

– კარგი, ახალგაზრდები კრიტიკულ მომენტში შინ გაიქცევიან, მაგრამ რა ქნან პენსიონერებმა, რომლებიც მთელ დროს ბაღში ატარებენ?

– ისინიც მიდიან შინ, მაგრამ... უკვე ჩასველებულები.

– ეტყობა, შენც შეგემთხვა რამე, სიმონ, თორემ, ტუალეტმცოდნეობაში ამდენ გამოცდილებას ვერ დააგროვებდი.

– სწორად მიხვდი. ამას წინათ წავკისში მიმავალმა, „მარშრუტკის" მძღოლს მანქანა ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე ტუალეტთან გავაჩერებინე.

– აკი ქუჩაში ტუალეტები აღარ არისო?

– მაცალე, შვიდკვირიანი ხომ არა ხარ, ყველაფერს გეტყვი... ის იყო ტუალეტს მივუახლოვდი, რომ იქიდან მუსიკისა და სიმღერის ხმა შემომესმა. გული მომივიდა, ვიფიქრე, აქ რა მოსალხენი ადგილი ნახეს-მეთქი და კარი ხმაურით შევხსენი... რას ვხედავ, მაგიდები სასმელ-ხორაგით გაუვსიათ და ერთ ღრეობაში არიან.

– ტუალეტში, სიმონ?

– არა, რესტორანში (ესეც გადაუკეთებიათ). სულ ბუზღუნ-გინებით გამოვბრუნდი.

– ნაცნობი ვერავინ ნახე, ტუალეტის გასაღებს მოგცემდა.

– ეგეც ვცადე, მაგრამ, არ გამოვიდა, მითხრეს – მცირე ფართობი იყო და ტუალეტისთვის ადგილი აღარ დაგვრჩაო.

– მოქეიფენი საიმსაქმოდ, აბა, შინ დადიან?

– ჰო, ამისთვის მათ რესტორნის მიერ გამოყოფილი მერსედესი ემსახურება.

– უფასოდ?

– რა თქმა უნდა. სხვათაშორის იმ მომსახურებით მეც ვისარგებლე. მერსედესის მძღოლს მოქეიფე ვეგონე, გაჭირვება რომ შემატყო, სასწრაფოდ ჩამსვა მანქანაში და შინ გამაქანა.

– უსინდისოდ მოქცეულხარ!

– რატომ, ძმაო, მაგათი უთავობის გამო, იმ დღეს წავკისში მოაგარაკე შვილიშვილები უნახავი დამრჩა...

**ოთარ ხუციშვილი.**

გვემრავლოს!

# აფციაურების გვარის გამგრძელებელი

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

**დილით რედაქციაში ტელეფონის ზარი აწკრიალდება თუ არა, ვიცით, სამშობიარო სახლებიდან გვირეკავენ. გუშინ დილით თბილისის №2 სამშობიარო სახლიდან სამეანო სექტორის გამგე დავით ქაჯაია დაგვიკავშირდა:**



– ჩვენთან ვაჟიანობაა. აგვისტოს ერთ კვირაში 21 ბავშვი დაიბადა, 7 გოგონა და 14 ბიჭია. წუთი-წუთზე კიდევ ორი ქალის მომშობიარებას ველოდებით, ბიჭები ეყოლებათ. მომშობიარებულთა შორის ისეთი დედებიც არიან, მეორე და მესამე შვილი რომ შეეძინათ.

– მომილოცეთ! – გუშინ მესამე შვილიშვილი, გვარის გამგრძელებელი შეგვეძინა. ბიჭს ელგუჯა დავარქვით. თქვენმა გაზეთმა შარშან ორი შვილიშვილის, გოგონების შეძენა მოგვილოცა. „საქართველოს რესპუბიკის" ის ნომერი შენახული მაქვს, თუ ამასაც დაბეჭდავთ, მადლობელი დაგრჩებით! შვილიშვილთა სიმრავლე ოჯახს ახალისებს, – გვითხრა თეთრი წყაროდან ჩამოსულმა **თემურ აფციაურმა.**

გაიხარონ!

ცოტაც გავიღიმოთ...



**– ექიმო,** ძალიან მტანჯავს მეხსიერების ხშირი ჩავარდნები!

– დიდი ხანია?

– რა დიდი ხანია?

– ეს ჩავარდნები!

– რა ჩავარდნები?

* * *

**– ქალბატონო,** უკვე ოთხი ქმარი გამოიცვალეთ და ყოველი მათგანი ან გაგიჟდა, ან საიქიოშია!

– დიახ, ამიტომაც მჭირდება ნორმალური და საიმედო კაცი!

* * *

**გენერალს** შვილი შეეძინა.

– წადი ერთი სამშობიაროში და ნახე, მგავს თუ არა ბავშვი, – ეუბნება ხელქვეითს.

– ნაღდად თქვენი შვილია, ეუბნება სამშობიაროდან მობრუნებული ხელქვეითი, – ისეთივე მელოტია, ჩასუქებული, არაფრის გაგებაში არ არის და მხოლოდ ყვირის!

* * *

**– კარგი,** ზარდახშა, ჯანდაბას, გატეხე, მაგრამ იმ დედაბერს რას ერჩოდი, რატომ მოკალი, იგი ხომ მეორე ოთახში იწვა და, თანაც ყრუ-მუნჯი იყო... ეს ხომ იცოდი, – ეკითხება გამომძიებელი ბანდიტს.

– ვიცოდი, მაგრამ ზარდახშაზე ეწერა: „გახსენით ჩემი სიკვდილის შემდეგ"... კითხვა ვიცი.

* * *

**– მე** კი იტალიაში ვისვენებდი!

– იტალიაში არა! სად გქონდა ამის ფული, მამაშენი ხომ მასწავლებელია, დედაშენი კი – დიასახლისი?

– სამაგიეროდ ბიძაჩემია ქურდი!

ინფორმაცია

# რეიდი რიკოთის უღელტეხილზე

**ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის ამოღების მიზნით რიკოთის უღელტეხილზე რეიდი ჩაატარა.**

**ოპერაციის დროს, ვაზ 21 06 მარკის ავტომანქანა დააკავეს, რომელსაც ხაშურელი ნიკოლოზ ზედგენიძე მართავდა. ავტომანქანის სალონსა და საბარგულში 6000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი აღმოჩნდა.**

**გუშინვე, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ზესტაფონელი ოთარ მაჩიტაძე 21 05 მარკის ავტომანქანით დააკავეს. მას 3000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა. ორივე მძღოლის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. უაქციზო სიგარეტები ამოღებულია.**

**ინტერპრესნიუსი**

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

ლარის კურსი

**9 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2048 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8026 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2285 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0634 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3857 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3995 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,6270 ლარი. |

ამინდი დღეს

| 9 აგვისტო | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 36° | 22° |
| ბათუმი | 33° | 23° |
| სოხუმი | 34° | 23° |
| ქუთაისი | 36° | 23° |
| თელავი | 32° | 21° |

კრიმინალი

# განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი

**დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს.**

**როგორც ინტერპრესნიუსს შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულია ვანის რაიონის სოფელ ტობანიერში მცხოვრები, 27 წლის ნუგზარ კაცაძე, რომელმაც თანასოფლელი, 47 წლის ნათია ხელაძე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა.**

**პოლიციის ინფორმაციით, დადგინდა, რომ კაცაძე ამავდროულად ყაჩაღობაშია ეჭვმიტანილი. იგი თბილისში, ბაქოს ქუჩაზე, თავს დაესხა შპს „კერძო ტაქსის" ავტომანქანა „ოპელომეგას" მძღოლს ვახტანგ ბარბაქაძეს და მას ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 55 ლარი წაართვა.**

**აღნიშნულ ფაქტს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველო იძიებს.**

# კონტრაბანდული ავტონაწილები

**ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველომ კონტრაბანდის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე ასლან მანსუროვი დააკავა.**

**როგორც ინტერპრესნიუსს ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, მანსუროვს აზერბაიჯანიდან წითელი ხიდის გავლით, საკუთარი ავტობუსით, ავტომანქანის ძვირადღირებული ნაწილები გადმოჰქონდა.**

**საბაჟოზე მან განაცხადა, რომ ავტობუსი ცარიელი იყო, თუმცა, მებაჟეებმა და ფინანსურმა პოლიციამ ჩხრეკისას ავტობუსში სპეციალურად ჩამონტაჟებული სამალავები აღმოაჩინეს.**

**კონტრაბანდის ღირებულებას სპეციალური ექსპერტიზა დაადგენს. ასლან მანსუროვი ეჭვმიტანილად არის ცნობილი და წინასწარი დაკავების საკანშია გადაყვანილი.**

# მხილებულია ნარკორეალიზატორი

**საქართველოს საპატრულო პოლიციისა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკორეალიზატორი დააკავეს, რომელსაც ჩხრეკისას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა.**

**როგორც ინტერპრესნიუსს შს სამინისტროში განუცხადეს, მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, დააკავეს თბილისში მცხოვრები 46 წლის მერაბ ჭაჭიაშვილი. პირადი ჩხრეკისას მას 15 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი" აღმოაჩნდა.**

**სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ნარკორეალიზაციის ფაქტი 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

**ინტერპრესნიუსი**



სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი", საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი ღრა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული კინოს დიდოსტატი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თეატრისა და კინოს რეჟისორი

ლევან აბაშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი კინორეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ლევან აბაშიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე მარიკა (დოდო) ერგემლიძე, შვილები ნუცა, მიშიკო, და თათია, სიძე ვალერი ასათიანი, დისწული სანდრო, სიდედრი ლეილა ბურჭულაძე, ცოლისდა ნანა, ცოლისძმა გიგა ერგემლიძეები, ქვისლი კოტე ლაშხი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი (გიგი) მიხეილის ძე სულაძე

პანაშვიდი 9, 10 VIII, 18 სთ. ფალიაშვილის ქ. №41, II სადარბაზო, გამოსვენება 11 VIII, 15 სთ. ვერის წმ. პანტელეიმონის ეკლესიიდან.

---

სოხუმის ტექნიკური კოლეჯის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა კოლეჯის პედაგოგი, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

ნოდარ ისაკის ძე ჩხეტია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს ბიზნესცენტრ „ისანის" დირექცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვარდო (ბუბულა) ოდიშარია-ზამრეკელიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" სამძიმარს უცხადებს თენგიზ წივწივაძეს მეუღლის

ნელი მახარაძე-წივწივაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK